23.'03 852 N14761
ეროვნული ბიბლიოთეკა

# საარბიელო

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 1 აგვისტო 2002 №142 (1664) | ფასი 50 თეთრი

# მოედანზე რომ გავდიოდით, რას ვაკეთებდით ხოლმე?

## ტორპედო ტურისტივით დაიბნა

## ლეტნაზე სპარტას კარს ვერ მიაგნო

CHAMPIONS LEAGUE



მშვიდობით, ლიგავ და, ბოდიში, „გენკო" — გერჩივნა, მეტოქედ „ტორპედო" გრგებოდა და არა „სპარტა", ბევრად გაგიიოლდებოდა საქმე...

კიდევ ყოჩაღ, პიოტრ კრაკოვსკი. „ტორპედოს" ფარერული მეტოქის მწვრთნელმა ხომ ქუთაისიდან წასვლისას დაიბარა, ჩვენ კი დაგვამარცხეთ, მაგრამ, წარმომიდგენია, ეგეთი დაცვით „სპარტასთან" რა დღეში ჩავარდებითო.

გუშინ მატჩის მსვლელობისას და დასრულების მერე რედაქციაში გულშემატკივრები რეკავდნენ, ანგარიში აინტერესებდათ და 1:0-ს თუ 3:0-ს რომ ვეუბნებოდით, არც ერთს მოსვლია აზრად ეკითხა, ვის სასარგებლოდო...

იმის სასარგებლოდ, ვისმა მწვრთნელმაც თქვა, სამზე მეტი გოლის გატანა გვქონდა დაგეგმილიო; ვისმა დუბლის გამხერხებელმა ფორვარდმაც დაიქადნა, არ გვჭირდება, მაგრამ ქუთაისშიც დაგამარცხებთ, პრესტიჟის ამბავიაო. ხოლო წააგეს მათ, მატჩამდე ფოტოკამერის წინ დარდიმანდულად რომ პოზიორობდნენ, მოედანზე კი შეშინებულები გავიდნენ.

0:3? რატომ 0:6 არა, მაგრამ ეს ის იშვიათი შემთხვევა იყო თანამედროვე ქართულ ფეხბურთში, მეკარემ რომ იყოჩაღა, მაგრამ აბა, რა ზვიად სტურუას ბრალია, დამხმარედ ერთი მცველიც რომ არ გამოუჩნდა. ჰო, მალხაზ ასათიანიც ცდილობდა შეტევას, მაგრამ არც მას დაეხმარა ვინმე.

ტორპედოელთა თავკაცმა ალექსანდრ შტელინმა დაიჩივლა, ერთი გოლის გატანა მაინც როგორ არ გვინდოდა, შესაძლებლობა კი არ მოგვეცაო. ვინძლო, ჩვენებურებს არც სურვილი ჰქონდათ.

მოკლედ, „ტორპედოს" ჩემპიონთა ლიგაში ერთი კვირაღა დარჩა. კი, საპასუხო მატჩამდე რა უფლება გვაქვს, გუნდი გავარდნილად მოვიხსენიოთ, მაგრამ თუ „გენკთან" გაჯიბრების იმედი ჯერ არ დაგიკარგავთ, გამოუსწორებელი ოპტიმისტი ყოფილხართ.

სხვა მატჩებისა კი, რა ვთქვათ. პირველ საკვალიფიკაციო ეტაპთან რა შედარებაა, თუმცა ბობოლა გუნდები ჯერაც არ ჩაბმულან საქმეში.

ვაჟა თარხნიშვილმა „შერიფისთვის" პენალტი კი გაიტანა, მაგრამ მისი გუნდი ავსტრიულ „გრაცერთან" შინ 1:4 შერცხვა და „ტორპედოს" გზას გაუდგა, ლევან კორღალიძის და ზურაბ მენთეშაშვილის „სკონტოს" კი „ლევსკისთან" უგოლო ფრის მერე მცირე იმედი მაინც შერჩა.



სპარტა — ტორპედო. ტორპედოს დამჭცევარ მიროსლავ ბარანეკს ვალტერ გურუამ წაქცევის მეტი ვერაფერი მო


REUTERS ფოტო

ჟილინა — ბაზელი. მასპინძელი მარეკ მინტალის თავური სტუმართა კარს გადასცდა


REUTERS ფოტო

ლილესტრიომი — ჟელეზნიჩარი. ბოსნიელი იბორ სილიჩის მძლავრად დარტყმულს მასპინძელთა მცველი ვერ გადაიღობა

## ჩემპიონთა ლიგა
### მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

ჟილინა (სლოვაკეთი) 1:1 ბაზელი (შვეიცარია)
1:0 ბარსიკი (30), 1:1 კლიგო (39 ს.კ.)

სკონტო (ლატვია) 0:0 ლევსკი (ბულგარეთი)
სკონტო: პავლოვსი, ისაკოვსი, ზემლინსკისი, სამუსიოვსი, ბლაგონადეჟდინი, დედურა, მოროზსი, მიხოლაპი (ბუტრიმა, 61), პროხოროვსკისი, კოლესნიჩენკო, ზაჰოლაპი (ლიალიანი, 69)
გაფრთხილება: სამუსიოვსი, ისაკოვსი, დედურა

დინამო (უკრაინა) 4:0 პიუნიკი (სომხეთი)
1:0 ჩერნატი (15), 2:0 შაცკიხი (65), 3:0 ლეანდრო (85), 4:0 ბოდნარი (90)
გაძევება: ბილიბიო (პიუნიკი, 64)

ჰ. მაკაბი (ისრაელი) 4:0 ბელშინა (ბელარუსი)
1:0, 2:0 კოენი (19, 22), 3:0 დოვანი (45), 4:0 ოლუვასეგუნი (86)

ლილესტრიომი (ნორვეგია) 0:1 ჟელეზნიჩარი (ბოსნია)
0:1 გრუდიჩი (50)

ჰამარბი (შვედეთი) 1:1 პარტიზანი (იუგოსლავია)
1:0 ვინსენსი (17), 1:1 ლაზოვიჩი (37)

შერიფი (მოლდოვა) 1:4 გრაცერი (ავსტრია)
0:1 ბაზინა (3), 0:2 ოუფმაუზერი (45), 0:3 ბაზინა (50), 1:3 თარხნიშვილი (61 პენ), 1:4 პასტორნაკი (71)
შერიფი: ჩირილოვი, თარხნიშვილი, ოდია, პრიგენიუკი (ტუდორი, 46), სიუბანჯანი, ტისტიშეტანუ, ივანოვი, ბოტისი, კოშლიონოკი, პატულა, ნესტერუკი (ბრაუნი, 81)
გაფრთხილება: პრიგენიუკი

ბრიუგე (ბელგია) 3:1 დინამო (რუმინეთი)
1:0 ლანგე (25), 1:1 ალექსა (44), 2:1, 3:1 მენდოზა (45, 85)
გაძევება: ალექსა (დინამო, 84)

ვარდარი (მაკედონია) 1:3 ლეგია (პოლონეთი)
0:1 კუჩარსკი (3), 0:2 იაშია (37), 1:2 რისტოვსკი (62), 1:3 სვიტლიცა (89)

ბრონდბიუ (დანია) 1:0 დინამო (ალბანეთი)
1:0 ბაგერი (90)

მარიბორი (სლოვენია) 2:1 აპოელი (კვიპროსი)
1:0, 2:0 კოროვიჩი (44, 64), 2:1 სირაკოვი (90)

ზალაეგერსეგი (უნგრეთი) 1:0 ზაგრები (ხორვატია)
1:0 ლიუბოიევიჩი (17)

ბოავიშტა (პორტუგალია) 4:0 ჰიბერნიანსი (მალტა)
1:0 ელპიდიო სილვა (16 პენ), 2:0 გულარტი (17), 3:0 ელპიდიო სილვა (30), 4:0 ავალოში (88)

## ინტერტოტოს თასი
### ნახევარფინალი. პირველი მატჩები

ლილი (საფრანგეთი) 1:1 ასტონ ვილა (ინგლისი)
შტუტგარტი (გერმანია) 2:1 სლავენი (ხორვატია)
ბოლონია (იტალია) 5:1 ტეპლიცე (ჩეხეთი)
ფულემი (ინგლისი) 1:0 სოშო (საფრანგეთი)
მალაგა (ესპანეთი) 2:1 ტილბურგი (ჰოლანდია)
ვილიარეალი (ესპანეთი) 0:0 ტრუა (საფრანგეთი)

## გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
I ტური

ლევერკუზენი (მ) 0:1 დორტმუნდი (მ)

სამხრეთ რეგიონალლიგა
II ტური

ნოინკირხენი 1:1 ფულენდორფი
აალენი 3:2 აუგსბურგი
ჰოფენჰაიმი 2:0 კიკერსი
ბაიერნი (მ) 0:1 დარმშტადტი
რეგენსბურგი — ელვერსბერგი გადაიდო
ვეენი 1:2 ზიგენი
ოფენბახი 2:3 ზაარბრიუკენი

## ჩეხეთი

I ტური

იაბლონეცი 2:1 სინოტი

## შვედეთი

XII ტური

ჰელსინგბორგი 0:0 ჰალმსტადი

## ავსტრია

IV ტური

ზალცბურგი 0:4 აუსტრია
რაპიდი 1:0 პაშინგი
რიდი 2:0 ადმირა

## ნორვეგია

XVII ტური

ბოდიო გლიმტი 2:0 სტარტი
სოგნდალი 2:1 მოლდე
სტაბეკი 3:2 მოსი

## შვეიცარია

A ჯგუფი. IV ტური

ლუცერნი 1:3 ციურიხი

ქართველმა მსაჯებმა სეზონისთვის სამზადისი დაასრულეს და გუშინ ბოლო ნორმატივებიც ჩააბარეს. ვაგლახ, ერთი მათგანი სეზონს ველარ დაიწყებს. გუშინ 41 წლისა მოულოდნელად გარდაიცვალა ფიფას თანამსაჯი

**ზურაბ დოლიძე**

## ჩემპიონთა ლიგა
### მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

**სპარტა 3:0 ტორპედო**

პრაღა. „ლეტნა". 31 ივლისი. 9 690 მაყურებელი 20 საათი

1:0 ბარანეკი (7), 2:0 ბარანეკი (20), 3:0 პოსპიშილი (75)

სპარტა: შპიტი, გრიგერა, ნოვოტნი, პუბშმანი, მარეკი, პობორსკი (მიხალიკი 60), იაროშიკი, ზელენკა, სიონკო, პუნი (პოსპიშილი 68), ბარანეკი (ბაბნიკი 89)
მწვრთნელი: იოზეფ იარობინსკი

ტორპედო: სატურუა, ქელიძე, დიდავა, ხვადაგიანი, თოდუა, ახალკაცი (იონანიძე 76), კვეტენაძე (ქემოკლიძე 39), გუჩუა, ასათიანი, ჯანაშია (ბაბუნაშვილი 46)
მწვრთნელი: ალექსანდრ შტელინი

გაფრთხილება: ხვადაგიანი (9), გუჩუა (54)

მსაჯი: კარლ-ერიკ ნილსონი (შვედეთი)

# ტორპედო ტურისტივით დაიბნა
# ლეტნაზე სპარტას კარს ვერ მიაგნო

დავით კაკაბაძე პრაღიდან

**ზვიად სტურუას** რომ არ ეყოჩაღა, „ტორპედო" პრაღულ „ლეტნას" ექვსი უპასუხო გოლით დატოვებდა. ქუთაისელთა მეკარემ სამი ბურთი კი გაუშვა, მაგრამ სამიც ისეთი მოიგერია, აუღებელი რომ ეთქმის.

გაშვებულ გოლებშიც სტურუას დადანაშაულება ძნელია, რადგან „ტორპედოს" დაცვა აკეთებდა ყველაფერს, საკუთარი კარის დაცვის გარდა. ქუთაისელთა მარცხენა ფლანგზე კარელ პობორსკი მეტეორივით დაჰქროდა და რასაც მოისურვებდა, იმას აკეთებდა. ცენტრალური მცველებიც, განსაკუთრებით კი ვახტანგ ხვადაგიანი, დაბნეულები ჩანდნენ და საერთოდაც, საქართველოს ჩემპიონი აშკარად შეშინებული გამოვიდა სათამაშოდ, თუმცა მატჩის დასაწყისშივე მალხაზ ასათიანის ერთობ უცნაური თავურით ლამის ქუთაისელები დაწინაურდნენ.

ეს იყო და, „სპარტამ" მძლავრად შეუტია და ისედაც დამფრთხალი სტუმრები მეკარე შპიტისკენ აღარ გაახედა. ცხადი იყო, ჩეხთა ასეთი მიძალება მალე მათთვის სასურველი შედეგით, ანუ გოლით დასრულდებოდა და ასეც მოხდა. საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დარჩენილ ბარანეკს ორიოდ მეტრიდან კარში ზუსტად დარტყმა არ გასჭირვებია. არც მაშინ აკანკალებია ფეხი გერმანული „კიოლნიდან" მშობლიურ გუნდში სეზონის წინ დაბრუნებულ თავდამსხმელს, როცა მე-20 წუთზე ვახტანგ ხვადაგიანმა უფეშქაშა ბურთი და სტურუასთან პირისპირ დატოვა.

ამის მერე თითქოს კი გაიბრძოლეს ქუთაისელებმა, გამორჩეულად მალხაზ ასათიანმა მოინდომა, მაგრამ ამ აშკარად ნიჭიერ ფეხბურთელს პრაღელთა გამოცდილი მცველი იაროშეკი გასაქანს არ აძლევდა. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ასათიანი მარტო ვერაფერს გახდებოდა — მისი თანაგუნდელები ჩეხთა კართან მიახლოვებასაც ვერ ბედავდნენ.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, „ტორპედო" არ იყო ის გუნდი, გათანაბრებას ვინ ჩივის, თუნდაც ერთი გოლის გაქვითვა რომ მოეხერხებინა. ეგ კი არა, მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულმა პოსპიშილმა ქუთაისელთა დიდი ანგარიშით, 3:0 მარცხი გააფორმა და, ცხადია, საპასუხო მატჩის წინ ბელგიური „გენკის" მეტოქეც გაარკვია.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ქართველთა უკრაინელი მწვრთნელი **ალექსანდრ შტელინი** რომ უგუნებოდ იყო, რა მტკიცება უნდა:

„სპარტამ" ყველაფერში გვაჯობა, ჩვენმა დაცვამ ძალიან ცუდად ითამაშა და სამი გოლიც ამიტომ გავუშვით.

ჩეხი ჟურნალისტის კითხვაზე, მეტოქის მოედანზე ერთი გოლის გატანა ხომ მაინც უნდა გეცადათო, შტელინმა ნაღვლიანად მიუგო, სურვილი ერთია, შესაძლებლობა მეორეო.

ამ სიტყვებით დაგვემშვიდობა „ტორპედოს" მწვრთნელი და პრესკონფერენციაზე შეკრებილთ „სპარტას" დამრიგებელი **იოზეფ იარობინსკი** დაგვიტოვა:

— ჩვენი უპირველესი მიზანი, გოლის არგაშვება იყო. როგორც ხედავთ, გუნდმა დავალება შეასრულა. იმასაც გეტყვით, რომ სამზე მეტი ბურთის გატანას ვგეგმავდით, მაგრამ სტუმართა მეკარემ არ დაგვანება.

**— ახლა, ალბათ, მომდევნო ეტაპსა და ბელგიურ „გენკზე" ფიქრობთ...**

— ჯერ ამაზე ფიქრი ნაადრევია, ერთ კვირაში ქუთაისში საპასუხო მატჩი გველის.

ნამატჩევს სპარტელთაგან უდავოდ გამორჩეულთ, **მიროსლავ ბარანეკსა** და **კარელ პობორსკისაც** გამოველაპარაკეთ.

**ბარანეკი:** 3:0 თითქოს თავის დამშვიდების უფლებას გვაძლევს, მაგრამ დარწმუნებული იყავით, ქუთაისშიც მოსაგებად ვითამაშებთ. ბოლოს და ბოლოს, პრესტიჟის საქმეა.

**პობორსკი:** ძალიან დავიღალე. ცოტა ფეხსაც ვიტკიებდი და უჩვეულო სიცხემაც გამთანგა. მაგრამ, თქვენც ნახეთ, თავი არ დამიზოგავს. შეცვლაც მას მერე ვითხოვე, როცა საქმე უკვე მოთავებული იყო.

პობორსკისა არ იყოს, პრაღაში მართლაც ხვატი იდგა, მატჩის დაწყებამდე ჩეხი კოლეგები ხუმრობდნენ კიდეც, ქართული ამინდი დაგახვედრეთო.


REUTERS ფოტო

ჩეხთა ალყაში მოქცეული შოთა ბაბუნაშვილი ბურთს გაჭირვებით მისწვდა

# გროზნის იარაღი აფხაზავაა
## სიმფეროპოლში გიგიაძის გოლები შეიფერეს

**უკრაინაში** ჩვენებურთა სამივე გუნდმა მოიგო. თანაც „ტავრიამ“ და ზაპოროჟიას „მეტალურგმა“ ახალდაწყებულ სეზონში პირველად გაიმარჯვეს. მოდებაძის „მეტალურგმა“ ბრაზილიელი როდრიგო ტოლედოს ეული გოლით აჯობა დებიუტანტ „ვოლინს“, ხოლო სიმფეროპოლელებმა დრამატულ მატჩში 4:2 სძლიეს „კრივბასს“. ორი ბურთი ვასო გიგიაძემ გაიტანა, პირველი პენალტით, მარცხენა ცხრიანში, მეორე თამაშის მიწურულს. ერთხელაც ქართველმა სამი მეტრიდან ვერ მოარტყა კარში. მერე ტავრიელთა მწვრთნელმა ანატოლი ზაიაევმა თქვა: გუნდის დაკომპლექტება კვლავაც გრძელდება და გამართულად ჯერ ვერ ვთამაშობთ. ალბათ ერთ მცველს კიდევ დავიმატებთ, რადგან ამ ხაზში ყველაზე უფრო გვიჭირს. თავდამსხმელების გარჯით კი კმაყოფილი გახლავართ, მათ ჩინებულად ითამაშესო.

„არსენალ“ — „ვორსკლას“ წყვილში, ცხადია, ფავორიტებად ამბიციური არმიელები ითვლებოდნენ, თუმცა თავდაჯერებამ დასძლიათ თუ რა იყო, დებიუტანტებს მსაჯის წამატებულ წუთზე ძლივს გამოგლიჯეს სამი ქულა. არადა, „ვორსკლას“ გავარდნის მთავარ კანდიდატად მიიჩნევენ და ყველაფერთან ერთად ამ კლუბში მძლავრი ფინანსური კრიზისიც ყოფილა.

თავიდან კიეველებისთვის ყველაფერი კარგად დაიწყო. მე-15 წუთზე შალვა აფხაზავამ ახლოდან, ვარდნაში გაიტანა. მერე კიდევ რამდენიმე კარგი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ შესვენების შემდეგ სტუმრებმა პენალტით გაათანაბრეს და წინ გასვლასაც ცოტა დააკლდათ. რომ არა 91-ზე კონოვალოვის დარტყმული საჯარიმო, სენსაციაც გამოცხვებოდა.

არმიელთა დამრიგებელ ვიაჩესლავ გროზნის თამაშის მერე მოსკოვიდან საგანგებოდ ჩამოტანილი მწვრთნელის „A“ კატეგორიის ლიცენზია გადასცეს. რამდენიმე დღის წინ კი გროზნი ჟურნალისტებს ესაუბრა და „არსენალის“ შესახებ მოუთხრო. მის გუნდზე ხომ სეზონის დასაწყისში ყველაზე ბევრს ლაპარაკობენ: „კლუბში სერიოზული მიზნით მოვედი. კიევის მერი („არსენალი“ მუნიციპალიტეტის გუნდია) ქალაქელებს შეპირდა, მალე უკრაინაში კიდევ ერთი ძლიერი გუნდი გამოჩნდებაო. მას მწვრთნელის ათამდე კანდიდატურა ჰყავდა, თუმცა მე რატომ ამომირჩია, არ ვიცი. ამ სეზონში კონკრეტულ მიზანს არ დავისახავთ, იმუშავეთ და მომავლის გუნდისთვის მყარი საფუძველი შექმენითო — გვითხრა მერმა. ენახოთ, ბევრი ახალი ფეხბურთელი შევიმატეთ და მგონი პერსპექტივაც კარგი გვაქვს“.

ახლებიდან კი ერთ-ერთი ჩვენი შალვა აფხაზავაა, ვინც ხუთი ტურის შემდეგ 4 გოლით თანაგუნდელ კონოვალოვთან, შახტარელ ბელიკთან და დინამოელ შაცკიხთან ერთად ბომბარდირთა დავასაც ლიდერობს.

რუსეთში დემეტრაძისა და აშვეთიას გოლებს ისე შევეჩვიეთ, ცოტა გაგვიკვირდა კიდეც, როცა ტურმა მათი თავგამოჩენის გარეშე ჩაიარა. „ალანია“ მოსკოვში „ტორპედო ზილს“ უგოლო ფრით დაშორდა. ქართველები კი მინდორზე მცირე ტრავმებით გავიდნენ. წინა მატჩში ცხვირგატეხილი დემეტრაძე მოთელვაზე საგანგებო ნიღბით გამოჩნდა. თუმცა თამაშისას „ზედმეტი ბარგი“ აღარ ინდომა. ჩვენებურები, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, მაინც გამოირჩეოდნენ, მაგრამ მეკარე ნოვოსადოვს ვერაფერი მოუხერხეს.

ავსტრიაში ცუდი სტარტის შემდეგ ნელ-ნელა ყალიბში დგება დავით მუჯირის „შტურმი“. წინა კვირას „რიდს“ მოუგეს და სამშაბათს მათ ბრეგენცის „კაზინოც“ მიაყოლეს. მასპინძლებმა 3:0 დამსახურებულად გაიმარჯვესო, წერენ ჩვენი ავსტრიელი კოლეგები, „მუჯუ“ კი 16 წუთი, პირველი ბურთის გამტან ჩარლზ ამოას ნაცვლად ითამაშა.

ლატვიაში ბოლო ადგილზე მდგარი თამაზ პერტიას „რიგა“ ლიდერ „ვენტსპილსთან“ 0:4 დამარცხდა, „დინაბურგისა“ და „სკონტოს“ მატჩი კი გადაიდო.

**სოლომონ ზუმბულიძე**



ვასილ გიგიაძე

| სახელი გვარი | გუნდი | | სად მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | ბრეგენცი 3:0 | 16 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 4 |
| **შვეიცარია. A ჯგუფი** | | | | | | | | |
| ლევან ხომერიკი | აარაუ | ს | იანგ ბოისი 0:1 | 0 | ტრანსფერზეა | 0 | 0 | 12 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | ალანია | ს | ზილ 0:0 | 90 | გააფრთხილეს | 4 | 3 | 13 |
| გია იმედაძე | ალანია | ს | ზილ 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 10 | 2 | 13 |
| მიხეილ აშვეთია | ალანია | ს | ზილ 0:0 | 87 | შეცვალეს | 5 | 4 | 13 |
| დავით ქოქაშვილი | სპარტაკი | ს | ზენიტი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 3 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | ს | როტორი 0:0 | 0 | | 0 | 0 | 15 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | შ | შინიკი 0:1 | 83 | შეცვალეს | 15 | 1 | 12 |
| ედიკ საჯაია | ტორპედო | შ | კრილია 4:3 | 27 | შეცვლაზე ითამაშა | 11 | 0 | 11 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | შ | კრილია 4:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 11 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თეიმურაზ გადელია | კრისტალი | ს | დინამო 0:1 | 20 | შეცვლაზე ითამაშა, გააფრ. | 16 | 0 | 17 |
| თენგიზ სიჟინავა | კრისტალი | ს | დინამო 0:1 | 90 | | 18 | 1 | 17 |
| ზვიად ჯელაძე | კრისტალი | ს | დინამო 0:1 | 90 | გააძევეს | 15 | 0 | 17 |
| გიზო ჯელაძე | რუბინი | ს | ყუბანი 1:0 | 0 | | 12 | 0 | 1 |
| ლევან სილაგაძე | რუბინი | ს | ყუბანი 1:0 | 0 | | 7 | 0 | 1 |
| დავით ჩალაძე | რუბინი | ს | ყუბანი 1:0 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 16 | 11 | 1 |
| პაატა ჯინჭარაძე | ლოკომოტივი | ს | ვოლგარი 0:3 | 90 | გააფრთხილეს | 16 | 2 | 11 |
| პაატა ბერიშვილი | ვორონეჟი | შ | ასკ-ენერგია 0:0 | 0 | | 4 | 1 | 14 |
| ალექსანდრე გელაძე | აკრონსტოვი | ს | ლადა 1:2 | 18 | შეცვლაზე ითამაშა | 5 | 0 | 16 |
| გოჩა გოგრიჭიანი | აკრონსტოვი | ს | ლადა 1:2 | 65 | შეცვალეს | 2 | 0 | 16 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | აკრონსტოვი | ს | ლადა 1:2 | 90 | | 2 | 0 | 16 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოჩა ტრაპაიძე | ტავრია | შ | კრივბასი 4:2 | 0 | სათადარიგო | 4 | 0 | 12 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | შ | კრივბასი 4:2 | 90 | 2 გოლი | 5 | 3 | 12 |
| შოთა ჩომახიძე | ტავრია | შ | კრივბასი 4:2 | 15 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 1 | 12 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟია | შ | ვოლინი 1:0 | 25 | შეცვლაზე ითამაშა | 5 | 0 | 13 |
| შალვა აფხაზავა | არსენალი | შ | ვორსკლა 2:1 | 90 | 1 გოლი | 4 | 4 | 5 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | | ტური გამოტოვა | | | 14 | 1 | 2 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | | ტური გამოტოვა | | | 14 | 2 | 2 |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | | ტური გამოტოვა | | | 16 | 3 | 2 |
| თამაზ პერტია | რიგა | შ | ვენტსპილსი 0:4 | 0 | | 14 | 1 | 8 |

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში



გიორგი ქინქლაძე ჯერ ისევ დერბელია

# ცისფერი ცხვრები
## გიორგი ქინქლაძემ ფერი იცვალა, გუნდი არა

**გიორგი ქინქლაძის** ინგლისური „დერბიდან“ წასვლას არ იქნა და არ დაადგა საშველი. ქართველი ნახევარმცველი კვლავაც ამ გუნდთან ერთად დღეში ორჯერ ვარჯიშობს და ამხანაგურ მატჩებშიც სრული დატვირთვით თამაშობს. მიუხედავად იმისა, რომ ქინქლაძეს პრემიერლიგიდან წლეულს დაქვეითებულ გუნდზე გული ჯერ კიდევ ზამთარში აუცრუვდა და იქაურობის დატოვებას მაშინვე აპირებდა, ის დღესაც დერბელია და ყველაზე სავარაუდოა, რომ ახალ სეზონსაც იქვე დაიწყებს. თუმც თავად ფეხბურთელს უახლოეს მომავალში კარიერის სხვაგან გაგრძელების იმედი ჯერ კიდევ აქვს.

— სატრანსფერო სეზონი 31 აგვისტომდეა. ჯერჯერობით კი ისევ „დერბიში“ ვარ და სათამაშო ფორმას ნელ-ნელა ვიბრუნებ. სხვა კლუბებიდან არავინ შემხმიანებია, უფრო სწორად, კონკრეტული წინადადებით ჩემთვის არავის მოუმართავს, თუმც აგენტი მაიმედებს, სექტემბრამდე კარგ გუნდს გაგიხერხებო. ენახოთ, თუ არაფერი გამოვიდა, დავრჩები „დერბიში“.

**— ჩემპიონატი ორ კვირაში იწყება და გუნდი ახლა გაგიშვებს?**

— მწვრთნელს გაზაფხულზეც ვესაუბრე და ახლაც, მომზადების დაწყებამდე. მეუბნება, წასვლაში ხელს არ შეგიშლიო.

**— „დერბის“ შემადგენლობაში ბევრი ცვლილებაა?**

— მნიშვნელოვანი არაფერი. ეგაა, „დერბიმ“ საკლუბო ფერი შეიცვალა. ახალი სეზონისთვის ცისფერ მაისურებს მოვირგებთ. არა მგონია, ამან გვიშველოს.

**— ნაკრებში ითამაშებ თურქეთის წინააღმდეგ?**

— ვითამაშებ, რა თქმა უნდა. ვაპირებ ყოველ შემთხვევაში.

**ბონა ინასარიძე**

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი

## ჩვენი მეტოქე

# სავსე ფიალას რა სჯობს
## მოსკოვს ალბანეთის არ სჯერა

### რუსეთი

**ახლახან** მოსკოვის „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობამ მართლაც ჩინებული საჩუქარი უძღვნა რუსული ფეხბურთის ქომაგთ — ჩერკიზოვოში წამოჭიმული სტადიონი ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესოდაც შერაცხეს. რუსული ფეხბურთის მამებმაც რკინიგზელთა სარბიელი ეროვნული ნაკრებისთვის შემოქმედებით მონათლეს. სწორედ ამ სტადიონზე აპირებდნენ რუსები დამკვიდრებას და 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის საშინაო მატჩების გამართვას. თუმც, როგორც ჩანს, ასე არ მოხდება. რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან ალექსანდრ ტუკმანოვის თქმით, ნაკრები პირველ მატჩს ვოლგოგრადში ჩაატარებს.

შეგახსენებთ, რომ ევრო 2004-ის შესარჩევ ციკლში რუსები პირველად ალბანეთს უმასპინძლებენ 16 ოქტომბერს. ვოლგოგრადშივე იგეგმება ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩიც. ეს ამბავი დაადასტურა რუსთა ახალმა თავკაცმა ვალერი გაზაევმაც, მაგრამ სიტყვა უეფაზეა. სწორედ უეფას ხელმძღვანელთა დასტურის შემდეგ შეესხმება ფრთები რუსთა ჩანაფიქრს.

აქვე ვთქვათ, რომ აქამდე მხოლოდ ორჯერ მოხდა, როცა ჩვენი „კეთილი მეზობლის“ ეროვნული გუნდი მოსკოვის გარეთ დაუხვდა მეტოქეს — სანკტ პეტერბურგის „პეტროვსკიზე“ და ტულის ცენტრალურზე.

რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის ეს ნაბიჯი, ალბათ, ფინანსურ მოგებაზეა გათვლილი. ადვილი მისახვედრია, რომ დიდგულა რუსები ალბანეთს არად ჩააგდებენ და, ცხადია, სტადიონიც ნახევრად ცარიელი იქნებოდა. პერიფერიებში კი, ვოლგოგრადში ანშლაგს ელიან.

**კახა ზალამბერიძე**



„ლოკომოტივის" ალეკო კაიდარაშვილი გორისთვის ვერ გაიმეტა

# კაიდარაშვილი იყო და არა იყო

## ლოკომოტივმა დილას ძოძუაშვილი დაუთმო

**თბილისურმა** „ლოკომოტივმა" საახალსეზონოდ მზადება დაასრულა. ვიცე-ჩემპიონები დღეში ერთხელ, საღამოს, ვაკეში ვარჯიშობენ და მეთოთხმეტე ჩემპიონატის დაწყებამდე ძალას იკრებენ.

გუნდის ხელმძღვანელობამ ბოლო ერთ კვირაში რამდენიმე მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო. თავდასხმაში უსაშველო კონკურენციაა და ჯერ ალეკო კაიდარაშვილი გაანათხოვრა მშობლიურ „დილაში", მერე კი ახალგაზრდა ფორვარდი კახა ბერელიძე დაუთმო „ვიტ ჯორჯიას".

რამდენიმე დღეში გორის „დილას" თავკაცობამ ფედერაციაში განაცხადი წარადგინა. სიაში, რა თქმა უნდა, რკინიგზელებისგან ნათხოვარი კაიდარაშვილიც იყო და გამოცდილი თავდამსხმელის გადაბირება ძალიანაც უხაროდათ ქართლელებს, თუმც სხვაგვარად განსაჯეს რკინიგზელებმა. კაიდარაშვილს ვერ შეველევითო, პირი უტეხა „ლოკომოტივმა" „დილას", მის ნაცვლად მერაბ ძოძუაშვილი შესთავაზეს გორელებს.

არც ეგ იყო ურიგო ვარიანტი და საფეხბურთო როქიც შედგა. სადღეისოდ კაიდარაშვილი რკინიგზელია, ძოძუაშვილი კი გორელი. რკინიგზელებს საახალსეზონოდ სამი ფორვარდის იმედი ექნებათ. ზაზა ჯანაშიას და სულიკო დავითაშვილს ალეკო კაიდარაშვილიც დაეხმარება.

**გამუჩა ძგანტალიანი**

# ჯანი კარნევალიმ ექვსი გაამწვანა

**გუშინ** საფეხბურთო კლუბმა „ვიტ ჯორჯიამ" ოფიციალურად გამოაცხადა იმ ფეხბურთელების ვინაობა, რომლებიც სამუასეზონო პერიოდში გადაიბირა და მეთოთხმეტე ჩემპიონატში მწვანე ფერის მაისურას მოარგებს.

სულ ექვსი მოთამაშე მოიწონა ვიტელთა იტალიელმა თავკაცმა ჯანი კარნევალიმ. უკანა ხაზში ზესტაფონელი მცველი ლევან მერებაშვილი შეუამხანაგდება თენგიზ კობიაშვილს. ნახევარდაცვას აწ უკვე ყოფილი ავჭალელი დავით ბოლქვაძე გაამაგრებს. თავდასხმაში კი ძალიან დიდი არჩევანია. დინამოელი აკაკი მიკუჩაძე, თსუელი ილია ბეროშვილი და მეცამეტე ჩემპიონატში პირველი ლიგის საუკეთესო მეგოლეები — ერეკლე მერებაშვილი თსუ-დან და კახა ბერელიძე „ლოკომოტივიდან" უკვე ოფიციალურად ვეტერინარები არიან.

კარნევალის გუნდში მოსამზადებელ ეტაპზე თსუ-დან კიდევ ერთი მცველი ბერიანიძე ვარჯიშობდა, მაგრამ მწვრთნელმა გიორგი უკან გააბრუნა. სტუდენტთა თავკაცმა მერაბ კოჭლაშვილმა სიხარულით მიიღო ათლეტური მცველი, მკლავზე კაპიტნის სამკლავური შეაბა და საახალსეზონო განაცხადშიც შეიყვანა.

თითქმის გადაწყვეტილი ამბავია, მეთოთხმეტე ჩემპიონატში „ვიტ ჯორჯიას" ვერ შეეშველება კაპიტანყოფილი გიორგი ყიფიანი, რომელიც ინტერტოტოზე ვიტელებს კი დაეხმარა, მაგრამ ახლა თვალი რუსეთისკენ უჭირავს და კლუბიც წასვლაში ხელს არ შეუშლის. ბოლნისიდან დაბრუნებული ფორვარდი გიორგი ქორიძე კი ბოლნისშივე გაანათხოვრეს.

**გამუჩა ძგანტალიანი**



ჯანი კარნევალი

# წელში გაიმართე, ძმაო!

## კილასონიამ გოცირიძე შეიამხანაგა



რევაზ გოცირიძე

**მოკრძალებული** სეზონისწინა სამზადისი დაასრულა რუსთავის „გორდამ". დღეს და ხვალ ფეხბურთელები მსუბუქად წაივარჯიშებენ და ჩემპიონატიც დაიწყება. უხერხული მეტოქე ელის პირველი ტურის მატჩში „გორდას" ავჭალაში — რუსთაველებს ჯერ არასდროს დაუმარცხებიათ „მერანი". საამატჩოდ საეჭვო გახდა გიორგი კილასონიას თამაში. წელმტკივანი „გორდას" ლიდერი ექიმებს კი გაესინჯა და თავდაპირველად დამაიმედებელი პასუხი მიიღო, მაგრამ ტრავმა არც ისე მსუბუქი აღმოჩნდა. კილასონია კვლავაც ნემსებს იკეთებს და გუნდთან ერთად ვერ ვარჯიშობს.

„გორდას" ზურაბ არჩვაძე მოაკლდა. წინასწარი შეთანხმებით, არჩვაძეს მშობლიურ გუნდში უნდა გაეგრძელებინა თამაში, მაგრამ ბოლო წამს გადაწყვეტილება შეცვალა და, სავარაუდოდ, ისევ „ბათუმში" გააგრძელებს კარიერას.

რუსთაველებმა დღემდე ვერ შეძლეს „ვიტ ჯორჯიასგან" პერსპექტიული დავით ზაზაშვილის თავისთან გადაბირება, მაგრამ ამ გუნდიდან იჯარით აყვანილ დავით ჩოხელს რევაზ გოცირიძეც გამოაყოლეს. „გორდას" ყველაზე უფრო თავდასხმის ხაზში უჭირს და ვარლამ კილასონია გოცირიძესთან შეწყვილებით ფიქრობს გუნდის შეტევითი პოტენციის გაზრდას.

გოცირიძეს „გორდაში" აქამდეც უთამაშია. სწორედ მისი და ვარლამ კილასონიას ძალისხმევით შეძლო წინა ჩემპიონატის პირველსავე ტურში „გორდამ" „ვიტ ჯორჯიას" დამარცხება. „ფოლადზე" დაბრუნებული ვიტელი რუსთაველ გუნდში პირველი წრის ბოლომდე დარჩება.

**ბაატა ძგანტალიანი**

# გაბელიამ ყვავილნარში გამოიდარა



**დედაქალაქთან** ერთკვირიანი განშორების შემდეგ, გუშინ თბილისს დაბრუნდა ავჭალური „მერანი". ოთარ გაბელიას ყვავილნარში ჰყავდა გუნდი და იქ აცლიდა სიქას შეგირდებს.

—ერთი კვირა ბევრსაც ვერაფერს შეგვმატებდა, მაგრამ, ვფიქრობ, მაინც სასიკეთოდ წაგვადგა ზღვისპირზე ვარჯიში—კმაყოფილი იყო შეკრებით ავჭალელთა დამრიგებელი.

ფინანსური სიდუხჭირის გადამკიდე „მერანმა" საახალსეზონოდ მზადება გვიან დაიწყო. დედაქალაქში საკონტროლო მატჩების ნაკლებობას უჩიოდა გაბელია და ყვავილნარში ერთი კვირის მანძილზე სამ მეტოქს შეახვედრა შეგირდები.

ავჭალელებმა ორჯერ ითამაშეს „ბათუმთან" და ორჯერვე დაიბრიყვეს მეტოქე. „მერანმა" ჯერ 3:0 და 4:1 დაამარცხა ბალაძის გუნდი, ამის შემდეგ ავჭალელებმა ექვსი უპასუხო გოლი გაუტანეს ფოთის „კოლხეთი 2"-ს და შეკრებაც დასრულდა.

გაბელიას გუნდისთვის მეთოთხმეტე ჩემპიონატი 3 აგვისტოს „სინათლეზე" დაიწყება. „მერანი" უხერხულ მეტოქეს, „გორდას" მასპინძლობს.

**გამუჩა ძგანტალიანი**

# გიუნეშმა ბათუმი ტრაბზონში დაპატიჟა

**„ბათუმი"** ერთ-ერთი პირველია იმ კლუბებში, რომელთაც სეზონისწინა მზადება ფაქტობრივად ჩაუვარდა. თუმცა ახლა გამოცოცხლება შეინიშნება. ბოლო დროს კლუბში ბევრი რამ შეიცვალა და ზღვისპირელთა თავკაცი ასლან ბალაძეც იმედიანადაა. უკვე გადაწყვეტილია, რომ მეთოთხმეტე ეროვნულში „ბათუმის" მაისურას ავთანდილ ღლონტი და გოჩა ყულეჯიშვილი მოირგებენ. ღლონტი ბოლოს ბულგარეთში თამაშობდა და ახლა მშობლიურ კლუბში დაბრუნება ამჯობინა. ყულეჯიშვილი კი მერამდენედ დაბრუნდა „ბათუმში", ჩვენ კი არა, ალბათ, თავად გოჩასაც აერია. შევახსენებთ, რომ წინა სეზონში ის „ქობულეთის" ღირსებას იცავდა.

— მიხარია, რომ ძირითადი ბირთვის შენარჩუნება მაინც შევძელით. გუნდში ახალგაზრდებიც ბლომად არიან. ახლა ვვარჯიშობთ და ჩემპიონატის დაწყებას ველით. მანამდე კი თურქეთში „ტრაბზონსფორს" ამხანაგურად გავეჯიბრებით. ეს უკვე სფფ-სთანაც შეთანხმებულია — გვითხრა გუშინ ასლან ბალაძემ — თურქეთში 2 აგვისტოს დილით გავემგზავრებით, მეორე დღეს ვითამაშებთ და 4-ში ბათუმში დავბრუნდებით. ამ დღეებში ტრაბზონში ბევრი საზეიმო ღონისძიება იმართება და ეს საქველმოქმედო მატჩიც ზეიმის ერთ-ერთი ნაწილია. მთლიანი შემოსავალი თურქეთში წყალდიდობისა და მიწისძვრის შედეგად დაზარალებულ ხალხს მოხმარდება. შეხვედრა სამთავრობო დონეზეა გადაწყვეტილი. ყველა ხარჯს თურქული მხარე იხდის. ამ მატჩის მოწყობაში თავისი წონიანი სიტყვა თურქთა ნაკრების მწვრთნელმა შენოლ გიუნეშმაც თქვა.

5 აგვისტოს კი „ბათუმისთვის" მეთოთხმეტე ეროვნული ჩემპიონატიც დაიწყება. პირველ ტურში ზღვისპირელები ბოლნისის „სიონს" ქობულეთში უმასპინძლებენ.

— ბათუმის „დინამოზე" უკვე სამუშაოები ტარდება და, ალბათ, მომდევნო საშინაო მატჩებისთვის მზად იქნება. თან მინდორიც კარგ მდგომარეობაშია — ესეც ასლან ბალაძის სიტყვებია.

მანამდე კი ბათუმელები ისევ გუნდის გაძლიერებაზე ფიქრობენ. მთავარი მწვრთნელის თქმით, ყველაზე სუსტი წერტილი მეკარეა და ამიტომაც „ბათუმში" ვეტერინარი დავით მამარდაშვილის გადასვლას უნდა ველოდოთ. ასლან ბალაძეს „ვიტ ჯორჯიას" თავდამსხმელ კახა წუწუნავასთვისაც დაუდგამს თვალი.

**კახა შალამბერიძე**

# ირბინეთ, რათა უსტვინოთ



ანატოლი მილჩენკო

**ანატოლი მილჩენკომ** 18 ივლისს თბილისიდან თავისი სამწყსო აბარგა და ბორჯომს გაეშურა თორმეტდღიან შეკრებაზე. ოფლი იდინეს ქართველმა შავოსნებმა და 30 ივლისს დედაქალაქში დაბრუნდნენ.

ერთი დღეც არ დაასვენა მილჩენკომ შეგირდები. გუშინ „ეროვნულზე" დაიბარა და ნორმატივების ჩაბარება მოსთხოვა. ფიფა-უეფა მსაჯებს 12 წუთში მინიმალურ შედეგად 2 700 მეტრის გარბენას უთვლის. ვინც დროში ვერ ჩაეტევა, ის ვერ იმსაჯებს — გამოაცხადა გუშინ სამსაჯო კომიტეტის თავკაცმა და მსაჯებმაც ძალიან მოინდომეს.

2 700 მეტრი 12 წუთში ყველამ გაირბინა. მაქსიმალური შედეგი 3 310 მეტრი კი სავალდებულო დროში თბილისელმა ოთარ ხეცაძემ დაფარა.

28 ივლისს ბორჯომში მილჩენკომ მსაჯებს თეორიული მზადყოფნაც შეუმოწმა. გამოცდის 3-იანზე ჩამბარებელი მწვანე მოედანს ვერ იხილავს — დაიმუქრა თურმე მასწავლებელმა და ოთხზე დაბალი შეფასებაც არავის მიუღია. სულ შეკრება 51 ქართველმა არბიტრმა გაიარა და, როგორც ანატოლი მილჩენკო ამბობს, მისი შეგირდები მეთოთხმეტე ეროვნულისთვის სრულ მზადყოფნაში არიან.

**გამუჩა ძგანტალიანი**



ვიტორიო ჩეკი გორის წაღებულს „ფიორენტინას“ დღემდე სთხოვენ

# სერიამ ჩეკი ამოიღო

## ფულის მაგივრად სხვა რამე რომ შემოგთავაზოთ?

**იტალიური ზაფხული გრძელდება. სერია A-ში ჩამოცხა. ჩემპიონატი პირველ სექტემბერს იწყება, „სკოლაში“ წამსვლელები კი უფულობამ ლამის დაახრჩოს.**

**ლიგის** ბოსებმა კლუბებს თითი დაუქნიეს, საწევროს გარეშე მოსულები არ დაგინახოთო. საწევრო თანხა კომკავშირული 2 კაპიკისგან დიდად განსხვავდება. მაგალითად, „რომას“ პრეზიდენტს მშვიდად მოახსენეს, თქვენგან 6 მილიონ 300 ათასი ევრო გვერგებაო. ფრანკო სენსი გაცოფდა, თქვენ ჩემს ხარჯზე ხომ არ აპირებთ ცხოვრებასო. სენსიმ ამ ამბავს პოლიტიკური სარჩული მიაკერა, სამხრეთ იტალიელებს გვჩაგრავენო. იმავდროულად მილანის „ინტერს“ და „მილანს“ გაცილებით ნაკლები გადასახადი დაეკისრათ. სწორედ ამან გამოიწვია რომაელთა რისხვა. შეხლა-შემოხლის შემდეგ „რომას“ პრეზიდენტმა საბოლოოდ 3 მილიონ 300 ათასი გაიღო და ჩემპიონატში მონაწილეობის უფლებაც მიიღო.

არც მეორე რომაულ კლუბ „ლაციოს“ ულხინს. სერჯო კრანიოტიმ ბიუჯეტში იმხელა ნაზვრეტი აღმოაჩინა, „სტადიო ოლიმპიკოც“ კი გაეტეოდა. პრეზიდენტი მიდგა-მოდგა, ხალხი შეაწუხა, იმდენი მოახერხა, რომ ორიოდ კაპიკი იშოვა და საწევრო გადაიხადა. ამასთან „ლაციოს“ მესვეურებმა ფეხბურთელებს თხოვნით მიმართეს, ეგებ ჯამაგირის მომატებაზე საუბრისგან ამ წელს თავი შეიკავოთო. ფეხბურთელებმაც თავი დაუქნიეს, რაღა გაეწყობაო. მოკლედ, პირველ სექტემბერს ჩემპიონატს „ლაციოც“ დაიწყებს.

სერია B-შიც დიდი წიოკი ატყდა, ლიგა არ ხუმრობსო. იტალიის ცხრაგზის ჩემპიონი „ჯენოა“ უცბად დაფაცურდა და სპონსორიც იპოვა, რომელმაც კლუბს ფული ჩაუთვალა, ამან კი ვალი გაისტუმრა.

„მესინას“ ახალმა პრეზიდენტმაც ჯიბეზე ხელი გაიკრა, საწევრო 4 მილიონ 200 ათასი ევროზე როგორ გალაპარაკებთო.

სხვებს „პალერმოც“ არ ჩამორჩა, რომელსაც ასევე ახალი პატრონი გამოუჩნდა. სიცილიელებმა 5 მილიონ ევროზე საბანკო გარანტია წარადგინეს. თავის პრობლემები „ნაპოლიმაც“ მოაგვარა.

აი, „ფიორენტინას“ რა ეშველება, ჯერ არავინ იცის. ფლორენციელებს ფულის მოსაძებნად ორი დღე მისცეს. თუ ამ დროის განმავლობაში თანხას ვერ გამონახავენ, სერია B-საც დაემშვიდობებიან. „ფიორენტინას“ ადგილის დასაკავებლად „ტერნანა“ უკვე კბილებს ილესავს.

და სად არის ვიტორიო ჩეკი გორი? ფულს ეძებს, რომელიც ჯერ კიდევ შარშანწინ გაფლანგა.

ფლორენციული კლუბის მესვეურები სათადარიგო ვარიანტებსაც განიხილავენ. მათ მფლობელობაში ყოფილა კინოთეატრი „ადრიანო“, რომელიც რომში მდებარეობს. სწორედ ამ კინოთეატრის და სხვა უძრავი ქონების წარდგენას აპირებენ გრანტად.

**ვაჟა ხუციშვილი**

# სკოლარი არის და არ არის

## მეც წამიყვანეთ, ჩემპიონი ვარ!





ემერსონ პოლგამ იკითხოს, თორემ ფელიპე სკოლარის რა უჭირს

**მსოფლიოს ჩემპიონატის** დასრულებიდან ერთი თვის თავზე პენტაკამპეონების ქვეყანაში საზეიმო განწყობა ნელ-ნელა ჩაცხრა და კარნავალის ადგილი ბრაზილიური ფეხბურთისთვის ასე ჩვეულმა ქაოსმა დაიკავა.

გაათავისუფლეს „ფლამენგოს“ პრეზიდენტი კლუბის თანხების არასწორად განკარგვის გამო, ისევ გრძელდება სენატის დაუსრულებელი გამოძიება ბრაზილიურ ფეხბურთში მძვინვარე კორუფციის ფაქტებზე, თავის მხრივ ფედერაციას ჯერაც ვერ გაურკვევია, რამდენმა გუნდმა უნდა ითამაშოს ჩემპიონატში. ორი კლუბი — „კაქსია“ და „ფიგირესი“, რაც მოედანზე ვერ გადაწყვიტეს, სასამართლოებში არკვევენ და ვერ გაურკვევიათ. მოკლედ რომ ვთქვათ, დომხალია, ანუ სწორედ ის, რაც მუდმივად იყო და არის იქაურ ფეხბურთში.

წინა კვირა, ალბათ, სკოლარი — რონალდოს გააქტიურებით არის აღსანიშნავი. მსოფლიოს ჩემპიონატზე „დიდმა ფილმა“ კი იძახა, მეგობრული, შეკრული გუნდი მყავსო, მაგრამ როგორც კი ჩემპიონატი მოიგო, გულში დაგროვილი ბოღმა გადმოანთხია. რონალდომდე ხომ მას პელეც შემოელანძღა.

„დაბინავდნენ“ ბრაზილიის ნაკრების აქამდე სამშობლოში მოთამაშე ფეხბურთელებიც. ლუიზაო „პერტამ“ წაიყვანა „გრემიოდან“, ბელეტი „სან პაულუდან“ ესპანურ „ვილიარეალში“ გადავიდა, ატლეტიკომინეიროელმა ჟილბერტო სილვამ სულაც ინგლისის ჩემპიონ „არსენალში“ ამოჰყო თავი. სამშობლო ჯერჯერობით მხოლოდ ორ პენტაკამპეონს, კლებერსონსა და პოლგას ვერ დაუტოვებიათ. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ კლებერსონის კლუბმა, „ატლეტიკო პარანენსემ“, ნახევარმცველი 20 მილიონ დოლარად დააფასა, იფიქრა, გავკეთდებიო, თუმცა კრიზისში მყოფმა ბევრმა კონტინენტმა კლებერსონისთვის კალთა რომ არ ჩამოახია, ახლა, მგონი, ისევ ფასის დაწევაზე ფიქრობს.

გაცილებით ცუდად აქვს საქმე ცენტრალურ მცველ პოლგას. მის კლუბ „გრემიოს“ არ ულხინს. ასე რომ, პოლგას უკეთეს გუნდში გადასვლას ვინ ჩივის, ხელფასის შეკვეცაზე დათანხმებაც მოუწევს. ამის გარდა, მსოფლიოს ჩემპიონს ვარჯიშისას თანაგუნდელ როჟერიო ფაბრისთან ჩხუბიც მოუვიდა. წასვლა კი მინდა, მაგრამ სად, ესღა უთქვამს პოლგას. სხვათა შორის, მისი „გრემიოსთან“ კონტრაქტი ამ სეზონის მიწურულს თავდება და პოლგასაც იქნებ მაშინ ეშველოს რამე.

რაც შეეხება მთავარს, ანუ ბრაზილიის ნაკრებს, მისი გაწვრთნის სურვილი სულაც არ გაქრობია ლუიშ ფელიპე სკოლარის. მართალია, ადრე იძახდა, აქ გამჩერებელი არ ვარ, ჩილეს ნაკრების მწვრთნელობა მინდაო, მაგრამ ასეა თუ ისე, „დიდი ფილოსთვის“ არც ჩილელებმა გამოიდეს თავი და არც მექსიკელებმა (მექსიკის ნაკრების მწვრთნელობაც უნდოდა).

კონტრაქტის გაგრძელება სკოლარისთვის ჯერ არც ბრაზილიაში შეუთავაზებიათ, თუმცა ნაკრებს უახლოესი ამხანაგური მატჩისთვის (პარაგვაის ნაკრებთან) სწორედ სკოლარი მოამზადებს. შეხვედრა ფორტალეზაში გაიმართება. სამომავლო საკითხებზე კი მწვრთნელი უახლოეს დღეებში ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ რიკარდუ ტეიშეირას შეხვდება და ყველაფერიც გადაწყდება.

პარაგვაელების შემდეგ პენტაკამპეონები სენეგალთან აპირებენ ამხანაგურად წაბურთავებას.

**სერგო ძორიძე**

# გაზას სექტორი



**უკვე** რამდენიმე კვირაა, პოლ გესქოინი აშშ-ში იმყოფება. „გაზა“ ვაშინგტონის „DC იუნაიტედს“ თავს აწონებდა — უფრო სწორად კი, „იუნაიტედი“ აწონებდა ფეხბურთელს თავს. გუნდთან ერთად ვარჯიშობდა და კონტრაქტზე ხელის მოწერამდეც ბევრი არ უკლდა, მაგრამ...

გესქოინმა ბოლო ვარჯიშის შემდეგ მოულოდნელად განაცხადა, ახლა სამშობლოში დავბრუნდები, მე და ჩემი აგენტი ყველაფერს ავწონ-დავწონით და გადაწყვეტილებასაც მივიღებო, თან დასძინა: არსად მეჩქარება, თუ პირობებზე შევთანხმდებით, ვაშინგტონში ისევ დავბრუნდებიო.

ამერიკული კლუბის მთავარ მწვრთნელ რეი ჰადსონს ფეხბურთელის განაცხადში შეყვანა სურდა. მის გუნდს „ჩიკაგო ფაირთან“ უნდა ებურთავა, თუმცა „გაზამ“ კონტრაქტს უგანა.

არის ერთი ნიუანსი, რომელმაც, ალბათ, იმოქმედა კიდეც ინგლისელის გადაწყვეტილებაზე. კონტრაქტში ჩადებულია პუნქტი, სადაც გარკვევით წერია — ფეხბურთელი არ უნდა გაეხვიოს შარში, არ დათვრეს, ცხვარივით უნდა მოიქცეს წინააღმდეგ შემთხვევაში, მოზრდილ ჯარიმასაც აკრავენ და კონტრაქტსაც გაუუქმებენ.

გამორიცხული არაა, მშფოთვარე ცხოვრების ტრფიალმა პოლ გესქოინმა სწორედ ამ პუნქტის გამო დაამუხრუჭა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# დამატებითი, სისხლიანი დრო

**ზიმბაბვეს** ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩი სისხლის ღვრით დასრულდა.

დამარცხებული გუნდი „ჰაილენდერსის“ ფეხბურთელები მსაჯს მიეჭრნენ და რამდენიმე წუთის დამატებას ითხოვდნენ, აქაოდა, შეჩერებები ბლომად იყოო. მსაჯმა, ცხადია, მოთხოვნას ყური არ ათხოვა. „ჰაილენდერსის“ გულშემატკივრებიც ფეხბურთელთა მხარდასაჭერად მოედანზე ჩაცვივდნენ.

ატყდა გნიასი და გაწევ-გამოწევა. საქმეში პოლიცია ჩაერია. ხელკეტებით რომ ვერ დააშოშმინეს, ბრბოს რეზინის ტყვიები დაუშინეს, მოგვიანებით კი ცრემლსადენი გაზიც გამოიყენეს. არეულობაში ერთი გულშემატკივარი სასიკვდილოდ დაიჭრა, ცხრამ სხვადასხვა სახის ჭრილობა მიიღო.

სტადიონზე დაწყებულმა ჩხუბმა ქუჩაში გადაინაცვლა. გახელებულმა ბრბომ პოლიციის განყოფილებები დაარბია და მათივე ავტომობილებიც მილეწ-მოლეწა. ხელჩართულ ბრძოლაში სამართალდამცავებიც დაშავდნენ. შეტაკებამ დაახლოებით 3-4 საათს გასტანა.

მომხდარს დაუყოვნებლივ გამოეხმაურა იქაური ომბუდსმენი, პროფესორი ლავერმორ მანდხუკუ. მან ადგილობრივი ხელისუფლება სისასტიკეში და ადამიანის უფლებების დარღვევაში დაადანაშაულა: „ეს ნამდვილი განუკითხაობაა და დღევანდელი ზიმბაბვეს რეალობა. მსგავსი შემთხვევები პირდაპირ კავშირშია პოლიტიკურ ვითარებასთან. ხელისუფლება ცდილობს, პოლიციის ძალით ხალხი დააშინოს.“

**ვაჟა ხუციშვილი**

### ავსტრია

IV ტური

**შტურმი 3:0 ბრეგენცი**

1:0 ამოა (18), 2:0 პასასი (27), 3:0 საბიჩი (67)

შტურმი: ფუბერი, ფოგტი, რონბასი, პეტროვიჩი (კორნიში 79), შტრაფნერი, პასასი (საბიჩი 65), ბრეჭია, გოლემბეცა, კეტლი, მასუდი, ამოა (მეგეორი 74)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პაშინგი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:0 | 9 |
| შტურმი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:5 | 9 |
| აუსტრია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 |
| რაპიდი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 6 |
| ადმირა | 3 | 2 | 0 | 1 | 3:4 | 6 |
| კერნტენი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ბრეგენცი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:7 | 2 |
| რიდი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |
| გრაცერი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |
| ზალცბურგი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:4 | 0 |

### შვედეთი

მე-12 ტური: ოირგრიტე — ელფსბორგი 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოირგრიტე | 12 | 7 | 4 | 1 | 24:16 | 25 |
| მალმიო | 12 | 8 | 0 | 4 | 26:14 | 24 |
| ლანდსკრონა | 12 | 5 | 4 | 3 | 26:18 | 19 |
| იურგორდენი | 12 | 5 | 4 | 3 | 19:15 | 19 |
| იორებრო | 12 | 5 | 4 | 3 | 13:15 | 19 |
| ჰელსინგბორგი | 11 | 5 | 2 | 4 | 15:16 | 17 |
| გიოტებორგი | 12 | 5 | 1 | 6 | 12:17 | 16 |
| აიკ | 12 | 3 | 5 | 4 | 19:20 | 14 |
| სუნდსვალი | 12 | 3 | 5 | 4 | 11:12 | 14 |
| კალმარი | 12 | 3 | 4 | 5 | 7:12 | 13 |
| ჰამარბი | 12 | 3 | 3 | 6 | 21:24 | 12 |
| ელფსბორგი | 12 | 2 | 5 | 5 | 11:18 | 11 |
| ჰალმსტადი | 11 | 1 | 7 | 3 | 9:11 | 10 |
| ნორჩიოპინგი | 12 | 2 | 4 | 6 | 9:14 | 10 |

### ამხანაგური მატჩი

**სერვეტი (შვეიცარია) 1:4 ბარსელონა (ესპანეთი)**

0:1 მენდიეტა (6), 0:2 კოკუ (34), 1:2 პედატი (44პ), 1:3 დანი (56), 1:4 კოკუ (82)





ოტმარ ჰიცფელდი, მათიას ზამერი, კლაუს ტოპმიოლერი — ბუნდესლიგამ ფავორიტები ამ თანმიმდევრობით დაალაგა

# გაამზადეთ სასალათე ბაიერნისთვის

## ბუნდესმწვრთნელებმა ჩემპიონობა გამოიტირეს

**მომავალ უქმეებზე** საფრანგეთის, შოტლანდიისა და საქართველოს ჩემპიონატებში ახალი სეზონი იწყება, იმის შემდეგ უქმეებზე კი ბუნდესლიგა გაჩაღდება. აქ სწორედ ბუნდესლიგის ამბები ვთქვათ.

ზაფხულის სატრანსფერო ციებ-ცხელება წესიერად არც გახურებულა, დასასრულს უახლოვდება, გასაყიდი გაიყიდა და საეჭვოა, დარჩენილ დროში რაიმე მნიშვნელოვანი ტრანსფერი შედგეს. ახლა ჯერი სიტყვიერ პაექრობაზე მიდგა, ანუ მწვრთნელები წინდაწინვე ცდილობენ, მომავალი ჩემპიონის ვინაობის გამოცნობას.

ბუნდესლიგაში, მოგეხსენებათ, თვრამეტი გუნდია და მათი ამდენივე მწვრთნელიდან თხუთმეტმა ფავორიტად მიუნხენის „ბაიერნი“ დაასახელა, რაც შევნიშნოთ, გასაკვირი სულაც არ არის.

სამი ანტიბაიერნისტი მწვრთნელი ვინ არის? არმინიელი ბენო მოელმანი, მიონხენგლადბახელი ჰანს მაიერი და დორტმუნდის „ბორუსიას“ ახალგაზრდა თავკაცი მათიას ზამერი. ამათგან პირველმა ორმა ალალად თქვა, არ ვიცითო, ზამერს კი ენა როგორ მოუბრუნდებოდა, „დორტმუნდზე“ წინ ვინმე დაეყენებინა, თუმც ამავე დროს ვერც თავისი გუნდის უდავო ფავორიტად დასახელება გაბედა. კერძოდ, ზამერმა თქვა, ვინმეს ავტომატურად ფავორიტად მიჩნევა არასწორია და ამ თემაზე საუბარი საერთოდ არ მსურსო. „დორტმუნდის“ მიზანზე კი განაცხადა, გერმანიაში ჩვენი დონე უნდა შევინარჩუნოთ, ჩემპიონთა ლიგაში კი მაქსიმალურად წინ წავიდეთო.

ოტმარ ჰიცფელდს, რომელიც მეხუთე სეზონში გაუძღვება „ბაიერნს“, გვარიანად მძიმე ტვირთი დააწვა მხრებზე. ერთი, რომ წინა სეზონში არაფერი მოუგია, რაც პირველად მოხდა 1995 წლის მერე, მეორე ის, რომ „ბაიერნს“ ყველა ფავორიტად მიიჩნევს და მესამეც, ისედაც უძლიერესი შემადგენლობის ზე რობერტოთი, სებასტიან დაისლერითა და მიხაელ ბალაკით კიდევ უფრო გაძლიერების მერე, ჩავარდნას არავინ აპატიებს. ჰოდა, ჰიცფელდმაც თქვა, ჩვენი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ჩემპიონობაა, რაშიც წინა სეზონის მსგავსად „დორტმუნდი“ და „ლევერკუზენი“ შეგვეცილებიანო.

ამ სამეულის დაპირისპირებაზე ილაპარაკა „ლევერკუზენის“ მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა: თუ რამ სასწაული არ მოხდა, ჩემპიონი ჩვენს შორის არის საძებნიო. დავძინოთ, რომ ყველაზე ნაკლები შანსი მაინც ტოპმიოლერის გუნდს უნდა ჰქონდეს, რაკი საუკეთესოები — ბალაკი და ზე რობერტო კონკურენტს გადაულოცა, თავად კი ღირებული არავინ უყიდია.

ზემოთ თხუთმეტი მწვრთნელი რომ ვახსენეთ, მათმა უმრავლესობამ მაინც თავი დაიზღვია, „ბაიერნს“ კი ვუქადით ჩემპიონობას, მაგრამ „დორტმუნდსაც“ ნუ ჩამოვწერთო. და მხოლოდ ხუთმა განაცხადა, პირველობა უთუოდ მიუნხენელებს დარჩებათო. ესენი არიან: კლაუს აუგენტალერი (ნიურნბერგი), რალფ რანგნიკი (ჰანოვერი), ვოლფგანგ ვოლფი (ვოლფსბურგი), არმინ ვეჰი (ჰანზა) და ფელიქს მაგათი (შტუტგარტი).

**ირაკლი ნინიძე**

# გავეშდა ალვეში და ჰერი, ჰერი ჰერტა!

**გერმანია**

**ლიგის თასი**

**ნახევარფინალი**

**დორტმუნდი 1:2 ჰერტა**

0:1, 0:2 ალვეში (25, 67), 1:2 რიკენი (71პენ.)

დორტმუნდი: ვაიდენფელერი, ევანილსონი, მეცელდერი (ფრინგსი 46), მადუში, ფერნანდესი, კელი (რიკენი 46), როსიცკი, მაინრიხი, ადი, იან კოლერი, ევერტონი

მწვრთნელი: მათიას ზამერი

ჰერტა: ფიდლერი, შმიდტი, ა. ფრიდრიხი, სიმუნიჩი, ჰარტმანი, მარქსი, ტრეტშოკი (მინტო 59), ნოიენდორფი (კონსტანტინიდისი 59), მარსელინიო, ალვეში (სვერისონი 86), გოორი

მწვრთნელი: ჰუუბ სტივენსი

გაფრთხილება: ადი, ევანილსონი, ჰარტმანი, ნოიენდორფი, გოორი

მსაჯი: მეიერი

8 900 მაყურებელი

**დღეს** ბოხუმში ლიგის თასის ფინალი გაიმართება. შარშანდელის მსგავსად, ერთმანეთს „შალკე“ და „ჰერტა“ შეხვდებიან.

ფინალში გასვლამდე ბერლინელებმა ჯერ „ბაიერნი“ დაამარცხეს პენალტებით, ახლა კი ჩემპიონ „დორტმუნდს“ სძლიეს.

მატჩი „ჰერტას“ უპირატესობით დაიწყო. ალვეშმა და გოორმა საზიფათოდ შეუტიეს. ცოტა ხანში დორტმუნდელთა ახალწვეულმა, არგენტინელმა ხუან რამონ ფერნანდესმა კარგი შანსი გაუშვა ხელიდან. 25-ე წუთზე კი ბერლინელთა ლამაზ კომბინაციას ბრაზილიელი ალვეშის გოლი მოჰყვა და „ჰერტა“ დაწინაურდა. ამის გარდა, პირველ ტაიმში აღსანიშნავი დორტმუნდელთა ჩეხი გოლიათის იან კოლერის შეიძლოდე მეტრიდან აცილებული იყო.

მეორე ტაიმში დორტმუნდელთა მწვრთნელმა მათიას ზამერმა მეცელდერი და კელი ფრინგსითა და რიკენით შეცვალა, თუმცა ამით გუნდს ვერ უშველა, 68-ე წუთზე იმავე ალვეშისგან მეორე გოლი მიიღეს. სამიოდე წუთში ბუნდესჩემპიონებმა რიკენის თერთმეტმეტრიანით კი შეამცირეს სხვაობა, მაგრამ ამის შემდეგ ბერლინელები დაცვაში ჩაღგნენ და მატჩი სასურველი შედეგით დაასრულეს.



REUTERS ფოტო

ბერლინელმა მიხაელ ჰარტმანმა დორტმუნდელი ლარს რიკენი დასცა

დამარცხებული დორტმუნდელები „ჰერტას“ დაემუქრნენ, ბუნდესლიგის პირველ ტურში გიჩვენებთ სეირსო.

შარშანდელ ფინალში „ჰერტამ“ 4:1 მოუგო „შალკეს“ და ახლა გელზენკირხენელები რევანშის აღებას შეეცდებიან.

**ლუკა გიგიბერი**



**პორტუგალიის** ნაკრების მწვრთნელად შესაძლოა, მანუელ ჟოზე დანიშნონ. მოგეხსენებათ, ანტონიო ოლივეირა მსოფლიოს ჩემპიონატზე წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ დაითხოვეს. ევროპის მომავალი ჩემპიონატის მასპინძელს კი დიდხანს უმწვრთნელოდ დარჩენა არ ეგების. მანუელ ჟოზე თავის დროზე ეგვიპტეში მუშაობდა და იქაურ „ალ-აჰლის“ თავკაცობდა. მისი თაოსნობით „ალ-აჰლიმ“ აფრიკის ჩემპიონთა ლიგა და სუპერთასი მოიგო.

**ინგლისური „ნიუკასლი“ ტოტენჰემელი დარენ ანდერტონის ხელში ჩაგდებას ლამობს. „კაჭკაჭები“ ლონდონელებს 7 მილიონ გირვანქას სთავაზობენ. „ნიუკასლის“ მწვრთნელმა ბობი რობსონმა განაცხადა, ანდერტონი ჩემი გუნდის ნახევარდაცვას დიდად გააძლიერებსო.**

**ტუნისის** ნაკრების სავარაუდო მწვრთნელებად ორ ფრანგს — ფილიპ ტრუსიეს და როჟე ლემერს ასახელებენ. ტუნისური პრესის ცნობით, ამ ორიდან ერთ-ერთი ნაკრებს აფრიკის თასის გათამაშებისთვის ჩაიბარებს. მსოფლიოს ჩემპიონატზე გუნდის მწვრთნელ ამარ ალ-სუაიეს გათავისუფლების შემდეგ კი გუნდს დროებით ისევ ადგილობრივი იოსუკ ალ-შაკავი თავკაცობს. ალ-შაკავი ნაკრებს 21 აგვისტოს დაგეგმილ ტუნის — საფრანგეთის ამხანაგურ მატჩზე გაუძღვება.

**იტალიურმა „იუვენტუსმა“, ამას წინათ ურუგვაელი კარის დარაჯი ფაბიან კარინი „არსენალში“ ხომ გაანათხოვრა, ახლა „მეთოფეებს“ ედგარ დავიდსსაც სთავაზობს, სანაცვლოდ კი „დელე ალპიზე“ პატრიკ ვიეირას გადაბირებას სცდილობს.**

**შვეიცარიული** „გრასჰოპერის“ ჰოლანდიელი მწვრთნელი, პიერ ჰამბერგი, „კალიებში“ თავის ბოლო სეზონს ატარებს. 2000 წელს როი ჰოჯსონის წასვლის შემდეგ მისულმა ჰამბერგმა 2003 წლამდე დადებული კონტრაქტის გახანგრძლივება აღარ ისურვა.

**ხორვატიის ეროვნული გუნდის ყოფილი მწვრთნელი მიროსლავ ბლაჟევიჩი ზაგრების „დინამოს“ მწვრთნელის პოსტიდან წასვლას აპირებს და ამის მიზეზად გუნდში შექმნილ არაჯანსაღ ატმოსფეროს ასახელებს. კლუბის მესვეურებს სახელოვანი ხორვატი მწვრთნელი არ ეთმობათ და ყოველნაირად ცდილობენ მის გუნდში დატოვებას. შეგახსენებთ, ბლაჟევიჩის დამოძღვრილმა ხორვატებმა 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. შემდეგ კი ის ირანის ნაკრებს წვრთნიდა.**

**ჰოლანდიური** „აიაქსის“ ნიგერიელი ნახევარმცველი პიუს იკედია შემდეგ სეზონს „გრონინგენში“ გაატარებს. მას შემდეგ, რაც ჩია ნიგერიელმა რონალდ კუმანის გუნდში ფეხის მოკიდება ვერ მოახერხა, კლუბმა გადაწყვიტა, გაენათხოვრებინა. სხვათა შორის, „გრონინგენს“ კიდევ ერთი აიაქსელის, სედრიკ ვან დერ გოუს დამატებაც სურს, რომლის გადაბირებას კიდევ ერთი ჰოლანდიური კლუბი, „როზენდალიც“ ცდილობს.

**ინგლისური „ლივერპულის“ 22 წლის ნახევარმცველი სტივენ ჯერარდი ტრავმის შემდეგ ჯერაც ვერ მომჯობინებულა. კლუბის თავკაცების ინფორმაციით, სტივენს უახლოეს დღეებში მორიგი გამოკვლევა ჩაუტარდება. ჟერარ ულიეს თქმით, თუ ჯერარდი პრემიერლიგის დაწყებამდე მწყობრში ვერ ჩადგა, მის ადგილს სენეგალელი სალიფ დიაო დაიკავებს.**

**ესპანური** მეორე დივიზიონის „ბურგოსს“ მესამე დივიზიონში დაქვეითება ემუქრება, რადგან ესპანეთის პროფესიული საფეხბურთო ლიგის სალაროში ჯერაც არ შეუტანია საწევრო. კლუბმა გადავადება ითხოვა, მაგრამ ესპანეთის სპორტის დეპარტამენტმა მისი თხოვნა არ დააკმაყოფილა. „ბურგოსი“ მესამე დივიზიონში 1982 წელსაც დააქვეითეს ფეხბურთელებისთვის ხელფასების გადაუხდელობის გამო. სხვათა შორის, ამ მიზეზით დაქვეითება „ოვიედოსა“ და „ლას პალმასსაც“ ემუქრებათ. „ბურგოსის“ მესამე დივიზიონში ჩასვლის შემთხვევაში მის ადგილს „ლევანტე“ დაიკავებს.

**ინგლისურმა „ტოტენჰემმა“ ჩინეთის ნაკრების 21 წლის ფორვარდი კუ ბო დაიმატა. კლუბის ვებ-გვერდზე „დეზების“ სპორტულმა დირექტორმა ჩინელი შეაქო და აღნიშნა, რომ მისი თამაში განსაკუთრებით ჩინეთ — ბრაზილიის მატჩში მოეწონა.**

**ჰოლანდიური** „ჰერენვენი“ შვედური „ჰალმსტადიდან“ 25 წლის მცველ პეტერ ჰანსონის დამატებას აპირებს. „ჰერენვენის“ ცნობით, ჰანსონს კონტრაქტის გაფორმებამდე სამედიცინო შემოწმების გავლაღა სჭირდება.

**გერმანული „შალკეს“ 31 წლის პოლონელ მცველ ტომაშ ვალდოხს უახლოესი ორი კვირა ტრავმის გამო გაუცდება. კლუბის ექიმ ტორსტენ რარეკის თქმით, ვალდოხს მარცხენა ფეხის მყესები აქვს დაზიანებული. ტრავმირებულია „შალკეს“ ბელგიელი ნახევარმცველი ნიკო ვან კერკჰოვენიც. მუხლის ტრავმის გამო 31 წლის ბელგიელი 3 თვეს ვერ ითამაშებს.**

**იტალიურ** „ინტერს“ ალესანდრო ნესტას გადაბირებაზე ხელი ჯერაც არ ჩაუქნევია, თუმც მცველის გარდა მილანელები ნახევარმცველსაც ეძებენ. „ინტერი“ „ვალენსიას“ კილი გონსალესს სთხოვდა, მაგრამ ვერ მიიღო. ახლა ყურადღება გლაზგოს „რეინჯერსის“ დანიელ ფეხბურთელ პიტერ ლოვენკრანდსზე გადაიტანეს. „შავ-ლურჯთა“ მსტოვრები „რეინჯერსის“ და „მილანის“ ამხანაგურ მატჩს დაესწრნენ, სადაც ლოვენკრანდსი დაზვერეს. „ინტერი“ „რეინჯერსს“ გაცვლას სთავაზობს, დანიელის სანაცვლოდ ან ნიკოლა ვენტოლა წაიყვანეთ, ან მოჰამედ კალონიო.

**ესპანეთის 19-წლამდელთა ნაკრების წევრებმა ნორვეგიაში მოგებული ევროპის ჩემპიონატის აღნიშვნა იქაურ ღამის კლუბებსა და ბარებში მოინდომეს, თუმც ოსლოს რამდენიმე ღამის კლუბიდან ტრიუმფატორი პირნიელები უკან გამოაბუნძულეს. ნორვეგიული კანონებით, ღამის დაწესებულებებში 19 წლის ახალგაზრდების შესვლა აკრძალულია.**


# ინდსაწარმო «არეალი»

თანამედროვე დიზაინით და ტექნოლოგიებით

ამზადებს ნებისმიერი სახის

საოფისე ავეჯს

სამზარეულოებს, კარადებს, მაგიდებს, სკამებს




მისამართი: თბილისი, ვაშლიჯვარი, გოძიაშვილის 97 (გეოლოგების ბარაკი)
ტელეფონები: 39 00 98 ან 8 99 54 07 01

ხელმისაწვდომი ფასები

გადახდის ნებისმიერი ფორმით



ჯორჯ ბესტი და მისი ცოლი 48 საათის გასვლას ელიან

# ასეთია ლოთი კაცის ბედი

## ჯორჯ ბესტი ახალ ცხოვრებას ახალი ღვიძლით იწყებს

**ჯორჯ ბესტს** ლონდონში, „კრომველ ჰოსპიტალში", ღვიძლი გადაუნერგეს. ოპერაცია 10 საათს გრძელდებოდა. ოპერაციის შემდეგ ბესტის ექიმმა, პროფესორმა როჯერ უილიამსმა განაცხადა, რომ პაციენტი რთულ, მაგრამ სტაბილურ მდგომარეობაშია. მას ინტენსიური მკურნალობის პერიოდი უდგას, ოღონდ მთავარია, პირველ 24 საათს გაუძლოს, როდესაც ბევრი რამ შეიძლება ცუდად წავიდეს. თუ 24 საათიდან 48 საათამდე მონაკვეთში ყველაფერი კარგად იქნება, შემდეგ ექიმები უფრო თამამ განცხადებებს გააკეთებენ და მკურნალობის შემდგომ ეტაპებსაც შესაბამისად დაგეგმავენ.

საკუთრივ ოპერაციით, რომელიც ქირურგმა ნაიჯელ ჰიტონმა ჩაატარა, პროფესორი უილიამსი კმაყოფილი ბრძანდებოდა. ოპერაცია კერძო გახლდათ და 60 ათასი გირვანქა დაჯდა.

ასეთია ის ინფორმაცია, რომელიც ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის" 60-იანი წლების ვარსკვლავის, დღეს 56 წლის ჯორჯ ბესტის შესახებ გავრცელდა.

ბესტმა ღვიძლი 30-წლიანი ლოთობით დაიავადა და 2000 წლის მარტში სერიოზული შეტევა მოუვიდა. მაშინ, ყოფილი გარემარბი, 1968 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი და იმავე წლის ჩემპიონთა თასის გამარჯვებული, კატეგორიულად გააფრთხილეს, რომ ლოთობის გაგრძელება სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა.

ამა წლის მაისში, ბესტი, რომელსაც პროფესორი უილიამსი მეტისმეტად ხნეულ ადამიანად მოიხსენიებდა, ჟურნალისტებს ასე ეუბნებოდა:

„ალბათ, დედამიწაზე ერთადერთი ვარ, საავადმყოფოსკენ რომ მიეჩქარება. ერთი სული მაქვს, გავიკეთო ოპერაცია და მოვისვენო."

გადანერგვის ოპერაციებს კი, როგორც ხვდებით, ერთი თავისებურება ახასიათებს — კეთდება მაშინ და მაშინვე, როგორც კი დონორი გამოჩნდება. ბესტის დონორი გუშინწინ დილით გამოჩნდა. ამ დღეს ფეხბურთის ყოფილი ვარსკვლავი რვა თვე ელოდა და მორიგ მეუღლესთან, 29 წლის ალექსთან ერთად საავადმყოფოს მიაშურა. ბესტის ცოლის დამ, 28 წლის ჯომ განაცხადა:

„ჯორჯს გაეხარდა, მაგრამ ძალიან ნერვიულობდა. ისინი საავადმყოფოში დაახლოებით დილის 7 საათზე მივიდნენ, ოპერაცია კი თერთმეტის ნახევარზე დაიწყო. ჩვენ გვიხარია, მას ახალი ცხოვრების დაწყების შანსი რომ მიეცა, მაგრამ დონორის ოჯახს ვუთანაგრძნობთ."

მოგვიანებით, საავადმყოფოში ბესტის 21 წლის ვაჟი, პროფესიით მოდელი კალუმიც მივიდა.

როგორც ინგლისური გაზეთი „სანი" იტყობინება, საავადმყოფოში წასვლის წინ ჯორჯმა და ალექსმა თავიანთი ორი ძაღლი სიდერს ანუ ალექსის დედას დაუტოვეს. პროფესორ უილიამსის შეფასებით, თეორიული შანსი იმისა, რომ ყველაფერი წარმატებით დასრულდება 70-80 პროცენტია, თუმცა პრაქტიკულად ყველაფერი შეიძლება მოხდეს, როგორც უკეთესობისკენ, ასევე უარესობისკენ. აქ იმის დაწვრილებით მოყოლა, თუ რა სიტყვებით უსურვეს ბესტს ყოფილმა თანაგუნდელებმა და „მანჩესტერ იუნაიტედმა" მთლიანად, გამოჯანმრთელება, ვფიქრობთ, საჭირო არ არის.

1946 წელს ბელფასტში დაბადებული ჯორჯ ბესტი „მანჩესტერ იუნაიტედში" 1963-73 წლებში ბრწყინავდა. შემდეგ თამაშობდა „ფულემში", „ჰიბერნიანში", „სტოკპორტ ქაუნთიში", „კორკ სელტიკსში" და „დანსტებლ თაუნში". ერთხანს ძალა ამერიკაშიც მოსინჯა, კერძოდ, „ლოს ანჯელეს აცტეკში", „ფორტ ლაუდერდეილში" და „სან ხოსე ერსქუიქში" გააგორა ბურთი, თუმცა მანჩესტერიდან წასვლის შემდეგ მისი ცხოვრება უფრო ლოთობით და ცოლების ცვლით იყო მნიშვნელოვანი.

ხოლო საუკეთესო წლებში მისი ფეხბურთი მართლაც განსაკუთრებული რამ გახლდათ და მავანმა ჟურნალისტებმა მოხდენილად ეპოქის „მეხუთე ბიტლიც" კი უწოდეს.

**ბაჩუნა ძიდია**

ამხანაგური მატჩები

**ლივერპული 0:1 ლაციო**

0:1 როდრიგესი (43)

**ლივერპული:** დუდეკი, რიისე, ჰიპია, ტრაორე, ბაბელი, შმიცერი, ჰამანი, შეირუ, დიომედი, ოუენი, დიუფი

შეცვლაზე შევიდნენ: ანში, ბარმბი, მერფი, ზაფიერი, ვინიგალი, ბაროში, ბერგერი, მელორი, რაიტი

მწვრთნელი: ჟერარ ულიე

**ლაციო:** მარკეჯანი, როდრიგესი, სტანკოვიჩი, ლოპესი, კრესპო, პანკარო, ფავალი, ფიორე, კოუტო, ლივერანი, სტამი

შეცვლაზე შევიდნენ: ოდო, ნესტა, ბარონიო, ჯანიკედა, გოტარდი, სინძაგა, კოლონესე, ნესტა, კონვეტი

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

44 677 მაყურებელი

# სასიამოვნო წაგება

| 9 | სენტ ეტიენი (13) | | | 04.09 | 09.11 | 26.10 | 30.11 | | | | | 18.12 | | | | 14.09 | | 10.08 | | 25.08 | 05.10 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 10 | ნანსი ლორენი (9) | | 19.10 | | : | 16.08 | | | 28.09 | 16.11 | | | 04.09 | 24.08 | | | 14.09 | | 02.11 | | 04.12 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 11 | კლერმონი (ლ) | | | 19.10 | 31.08 | | | : | 02.11 | | 11.09 | | 21.09 | | 17.08 | 04.12 | | | 28.09 | 16.11 | | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 12 | სტად ლავალი (10) | 17.08 | 02.11 | | | | 11.09 | | 19.10 | 04.12 | | | | | 31.08 | | 28.09 | | 16.11 | 14.09 | : | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 13 | ამიენი (12) | 21.09 | | 04.12 | | | | | | 17.08 | | 26.10 | 05.10 | | 11.09 | : | | 16.11 | | 02.11 | 31.08 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 14 | ვალანსი (ლ) | | 28.09 | | 04.12 | | 24.08 | | 14.09 | 02.11 | 10.08 | | | | | | 04.09 | | 19.10 | | 16.11 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 15 | ლე მანი (5) | 09.11 | 24.08 | | | | | 21.09 | 10.08 | | 05.10 | | 30.11 | | 26.10 | | 18.12 | | 04.09 | | | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 16 | გრენობლი (16) | 31.08 | 16.11 | | | 11.09 | 21.09 | 17.08 | | : | | 05.10 | | 19.10 | | | | 02.11 | 04.12 | | | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 17 | ისტრი (17) | | : | 17.08 | | | 05.10 | | 18.12 | | 09.11 | 30.11 | 26.10 | | 21.09 | 11.09 | | | 31.08 | | | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 18 | მეცი (ლ) | 05.10 | | 24.08 | 26.10 | 30.11 | 09.11 | | | 21.09 | | | | 18.12 | | | | | | 10.08 | 11.09 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 19 | რეიმსი (ლ) | 11.09 | | : | 21.09 | | | 31.08 | 30.11 | | 26.10 | | | | 05.10 | 17.08 | 09.11 | 04.12 | | | | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 20 | ვასკალი (15) | | | | 30.11 | 09.11 | 18.12 | 19.10 | | | | 24.08 | | | | 28.09 | 10.08 | 14.09 | | 04.09 | | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |

## დანია. უმაღლესი დივიზიონი. 2001-02. II ტური

| თარიღი | დრო | № | მატჩი | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | ფს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 03.08.02 | 20.00 | 094 | 3:0სილკებორგი; ბრონდბი V აკადემისკი კოგე2:2; | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1 | 1,15 | 2,3 | - | 3:1 2:1 5:0 | 4:0 4:2 1:1 | 0:2 3:0 0:2 |
| 04.08.02 | 18.00 | 096 | 0:2ორჰუსი; ფარუმი V ვიბორგი 2:2კოპენჰაგენი; | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 | - | - | - | - |
| 04.08.02 | 18.00 | 097 | 0:2ოდენსე; მიდტიულანდი V ოლბორგი 2:1ესბიერგი; | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,35 | 1,2 | 1,4 | - | 1:2 0:1 1:0 | 2:1 1:0 1:2 | - |
| 04.08.02 | 18.00 | 098 | მიდტიულანდი2:0; ოდენსე V სილკებორგი ბრონდბი0:3; | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,9 | - | 3:1 2:1 2:2 | 1:2 1:0 1:0 | 1:0 0:4 0:1 |
| 04.08.02 | 18.00 | 099 | ფარუმი2:0; ორჰუსი V ესბიერგი ოლბორგი1:2; | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,2 | 1,5 | - | 1:4 1:6 0:2 | - | 1:0 1:0 4:3 |
| 04.08.02 | 20.35 | 100 | 2:2აკადემისკი; კოგე V კოპენჰაგენი ვიბორგი2:2; | 3,5 | 3,3 | 1,9 | 1,6 | 1,2 | 1,2 | - | - | - | - |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბრონდბი (1) | | | 15.09 | | 06.10 | | 18.08 | : | 01.09 | | 22.09 | | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| 2 | ორჰუსი (10) | 08.09 | | 18.08 | | 20.10 | | 29.09 | | : | 2:0 | | | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 3 | ოდენსე (6) | | | | 08.09 | 25.08 | 29.09 | 06.10 | | | | 2:0 | : | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 4 | ოლბორგი (4) | 11.08 | 06.10 | | | | 01.09 | | 18.08 | | 22.09 | | 5.09 20.10 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| 5 | კოგე (ლ) | | 01.09 | | 29.09 | | : | | | | | 08.09 | 18.08 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| 6 | კოპენჰაგენი (2) | 25.08 | 22.09 | | | | | 2:2 | 15.09 | | 11.08 | 20.10 | 06.10 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 7 | ვიბორგი (8) | | | 20.10 | 25.08 | 22.09 | | | 01.09 | 15.09 | | 11.08 | | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| 8 | აკადემისკი კოპენჰაგენი (5) | 20.10 | 25.08 | 11.08 | | 2:2 | | | | 06.10 | 08.09 | | 22.09 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 9 | ესბიერგი (7) | | | 22.09 | 1:2 | 11.08 | 08.09 | | | | 20.10 | 25.08 | | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 10 | ფარუმი (ლ) | 29.09 | | 01.09 | | 15.09 | | : | | 18.08 | | | | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| 11 | მიდტიულანდი (3) | | 15.09 | | : | | 18.08 | | 29.09 | | 06.10 | | 01.09 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| 12 | სილკებორგი სილკებორგი (9) | 0:3 | 11.08 | | | | | 08.09 | | 29.09 | 25.08 | | | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |

გაიხსნა კროკოს ახალი ბიუროები
სარფი, საბაჟო პუნქტის პირდაპირ
ქობულეთი, სასტუმრო „ივერიის“ მიმდებარე ტერიტორია

# ბუდიონას აღმოჩენა — ის ალქაჯი გოგო



**იმ დღეს** შინ დაბრუნებულმა ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა მედეა (მზია) ჯუღელმა კარი რომ შეაღო, ელდა ეცა — ოთახები არეულ-დარეული დახვდა. უჯრები გამოეღოთ და გადმოეპირქვავებინათ. იატაკზე ლოგინიც მიეყარ-მოეყარათ. იქვე მედეა ჯუღელის მიერ სხვადასხვა შეჯიბრებაზე მოპოვებული მედლები და სახელმწიფო ჯილდოებიც ეყარა. პირველი, რაც მოისაკლისა, ორი მედალი იყო. ერთი — ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე გუნდურ შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის, მეორე ვერცხლისა — ჯგუფურ ასპარეზობაში დამსახურებული. ეტყობა, ქურდებმა იცოდნენ, რაც უნდა წაეღოთ, წალებით კი, ცხადია, სხვა „წვრილმანიც“ ხელს გააყოლეს. მერე, როცა დიასახლისმა ოთახების დალაგება დაიწყო, ტახტის ქვეშ... ოლიმპიური ოქროს მედალი აღმოაჩინა — ქურდებს, ალბათ, სიჩქარეში ხელიდან გაუვარდათ, გაუგორდათ და ტახტის ქვეშ ველარ მიაგნეს.

„ამ ოქროს მედლის პოვნა ისე გამიხარდა, თითქოს იგი მეორედ მოვიპოვე — იხსენებს მედეა ჯუღელი — სიხარულით ნაქურდალ ნივთებზე აღარც ვდარდობდი, ვერცხლის მედლის დაკარგვას კი ახლაც განვიცდი.

მას შემდეგ მედეა ჯუღელს, როგორც თავად გვითხრა, ის ოქროს მედალი მუდამ თან დააქვს. თუმცა, მას მანამდეც ხშირად ვერ ელეოდა და „ყოველი შემთხვევისთვის“ ჩანთაში ედო. მაშინაც თან ჰქონდა, 1996 წელს, ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე.

იმ საღამოს ატლანტაში ჩასულნი დაუბინავებლად „ქართული სახლის“ გახსნის ცერემონიალზე გავვარდით. რომ იტყვიან, ხომალდიდან პირდაპირ მეჯლისზე მოხვდნენო, სწორედ ისე დაგვემართა, მაგრამ მედეა ჯუღელი მოულოდნელად თარჯიმანთან ერთად სადღაც გაქრა. მეორე საღამოს იქვე რომ მოვგროვდით, მედეა ჯუღელიც გამოჩნდა და თავისი წინადღის თავგადასავალი გვიამბო. ისეთმა აღტაცებულმა მოგვითხრო ყოველივე, თითქოს ატლანტის ოლიმპიური ოქროც მოეპოვებინოს.

„ატლანტელებმა ჯერ კიდევ თბილისში მაცნობეს, ამა და ამ დღეს ქალ ოლიმპიურ ჩემპიონთა მუზეუმს ვხსნით და გთხოვთ, გვეწვიოთო, — გვიამბობს მედეა ჯუღელი — სამწუხაროდ, ერთი დღით დამიგვიანდა ჩამოსვლა, გუშინ კი გულმა არ მომითმინა და გავიარე, მაგრამ მუზეუმი ერთი საათის დაკეტილი იყო. იქ ახმახი ზანგი დაგვხვდა. თარჯიმანმა, იქნებ ცოტა ხნით შეგვიშვათ, ეს ქალბატონიც ოლიმპიური ჩემპიონია, მუზეუმის გახსნაზე ისიც დაპატიჟებული იყო, მაგრამ ჩამოსვლა დაუგვიანდაო. ზორბა ზანგმა ირონიულად გადმომხედა, ამათვალ-ჩამათვალიერა, ხვალ მობრძანდითო, თავაზიანად მთხოვა. რაკი არ დაიჯერა, ოქროს მედალი ამოვიღე და ვუჩვენე. მედლის დანახვაზე თვალები შუბლზე აუვიდა, მერე გაუბრწყინდა, ერთ წუთს მომიცადეთო, სადღაც გავარდა და ვიღაც მოიყვანა. ორივემ უმალ მუზეუმის კარი გამიღო და იქაურობა დამათვალიერებინეს. მეგონა, რომ მუზეუმში მხოლოდ ამერიკელი ოლიმპიური ჩემპიონი ქალების წარმატებათა ამსახველი ექსპონატები იქნებოდა, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა. ერთ სტენდზე ჩემს ფოტოსურათსაც მივაგენი, რომელზეც ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე დვირზე ვარჯიშისას ვარ აღბეჭდილი. აი, ეს მე ვარ-მეთქი, გახარებულმა თავი კიდევ ერთხელ მოვიწონე იმ ახმახთან და მუზეუმის კიდევ რამდენიმე თანამშრომელთან. მათ იმ სტენდის ფონზე ჩემთან ერთად სურათები გადაიღეს, ავტოგრაფებიც ჩამომართვეს. გამომშვიდობებისას ყავაზეც დამპატიჟეს, მანამდე კი ერთი საგანგებო სტენდზე ავტოგრაფიც დამატოვებინეს. ის ავტოგრაფები იმ ოლიმპიურ ჩემპიონებს ეკუთვნოდათ, რომლებიც მუზეუმის გახსნაზე მიიპატიჟეს. მათ შორის მე ერთადერთი ქართველი აღმოვჩნდი. მეტიც — ყოფილი საბჭოთა კავშირიდანაც კი გამონაკლისი ვიყავი. ეს ყოველივე ჩემთვის ძალიან სასიამოვნო სიურპრიზი იყო. ის უფრო გამიკვირდა, რომ სტენდზე არ იყო ტანვარჯიშში ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების აბსოლუტური ჩემპიონის, ხარკოველი მარია გოროხოვსკაიას ფოტო“.

მართლაც, ეს მით უფრო საკვირველია, რომ საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალებმა, ვაჟებისა არ იყოს, ყველა გააკვირვეს და თუკი რამ ოქრო-ვერცხლი და ბრინჯაო იყო ჰელსინკიში, ლამის სულ დაისაკუთრეს.

„საამისოდ ფინეთთან საზღვრისპირა ვიბორგში მთელი ექვსი თვე ვემზადებოდით — იხსენებს მედეა ჯუღელი — იქ თავადის სახლში მართლაც თავადურად ვცხოვრობდით. ჩიტის რძეც კი არ გვაკლდა. მერე, უკვე ფინეთში ჩასულნი ოტენიემში დაგვაბინავეს. ტუალეტისკენ მიმავალ გზაზეც კი დვირი დაგვიდგეს და იქ მის გაუვლელად ვერ ვხვდებოდით. დარბაზში ვარჯიშისას იქაურობას სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებითა და მათი მწვრთნელ-ხელმძღვანელებით ავსებდნენ. ჩვენ მათი სტვენისა და ჭყივილ-კივილის თანხლებით, პაპიროსის ბოლში დანისლულნი ვვარჯიშობდით — შეჯიბრებისას ასეთი აჟიოტაჟი იქნება და აქედანვე უნდა მიეჩვიოთო. ამასთან, სასმელ-საჭმელი არც ფინეთში მოგვკლებია, სადაც საკუთარი მზარეულებით ჩავედით. ყოველივე ლამის განუსაზღვრელი რაოდენობით, ყოველდღე ლენინგრადიდან მატარებლით ჩამოჰქონდათ. მათ შორის ხიზილალაც, რომელსაც სუფრის კოვზებით შევექცეოდით. ეს რომ ამერიკელებმა და ფრანგებმა გაიგეს, ყოველდღიურად გვსტუმრობდნენ. მანამდე, ერთ მშვენიერ დღეს, ვარჯიშისას ერთი ფინური გაზეთი მოგვიტანეს. იქ ეწერა, საბჭოთა ტანმოვარჯიშეები დახურულ კარს მიღმა გასაიდუმლოებულად ვარჯიშობენო. მე გავვარდი და ორივე კარი ფართოდ გამოვაღე, ნახეთ, როგორი გოგოები ვართ და როგორ ვვარჯიშობთ-მეთქი. ყველანი ტანვარჯიშის დარბაზს მოაწყდნენ, იაპონელებს კი სულაც სავალდებულო პროგრამის ათვისებაში დავეხმარეთ. რაღა გასაკვირია, რომ ასეთ პირობებში მზადების მერე ჰელსინკში, ჩვენს პირველ ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებაში, ყველას ვაჯობეთ. სამწუხაროა, რომ დღეს ნახევარი საუკუნის წინანდელი პირობების ნახევარიც აღარ აქვთ ჩვენს სპორტსმენებს.“

მედეა ჯუღელი ფიქრობს, რომ ჰელსინკის ოლიმპიურ სარბიელზე ორი კი არა, ორჯერ ორი მედალი უნდა მოეპოვებინა, მაგრამ ამაში მას... მებრძოლის ხასიათმა შეუშალა ხელი.

საქმე ის იყო, რომ ჯუღელს გუნდში ყველაზე გაბედული და თამამი ტანმოვარჯიშის სახელი დაევდო. ჰელსინკის შემდგომ საბჭოთა და მსოფლიო ტანვარჯიშის ლიდერი ლარისა ლატინინა მედეა ჯუღელის ასეთ ხასიათს ხაზგასმით აღნიშნავდა თავის წიგნში.

— საბჭოთა ნაკრებში ბევრი კარგი ტანმოვარჯიშე იყო, მაგრამ შეჯიბრების დაწყებამდე ყველანი მეტისმეტად ღელავდნენ და იბლვირებოდნენ — გვიამბობს მედეა ჯუღელი — მე კი, ვარჯიშის დაწყებამდე თანაგუნდელებს როგორღაც სასაცილოდ შევძახებდი ხოლმე, აბა, გოგოებო, გავიღიმოთ-მეთქი და უმალ ყველას სახე უნათდებოდა და მღელვარებაც სადღაც უქრებოდათ, ცალკეულ იარაღებზე კი ჩემი ხასიათის გამო გუნდიდან მუდამ პირველი მე გავყავდით მწვრთნელებს. პირველად გასული სპორტსმენის გამოსვლაზე სხვათა შედეგების ბედი დიდად ჰკიდია. ჩვეულებრივ, პირველი თუ კარგად იასპარეზებს, თანაგუნდელებიც მხარს უბამენ, მაგრამ თუ იარაღიდან ჩამოვარდა, სხვებიც თან მიჰყვებიან. სამწუხაროდ, პირველი, რაც უნდა კარგად გამოვიდეს, ჩვეულებრივ, მსაჯთაგან ძალზე იჩაგრება, რადგან ქულებს ცოტას უწერენ. მეც ამის გამო დავიჩაგრე. ბჯენით ხტომებში, მაგალითად, 19,20 ქულით ჩემპიონი მოსკოველი ეკატერინა კალინჩუკი გახდა, მე კი 19,13 ქულით მეოთხეზე გავედი. და ეს მაშინ, როცა საკავშირო ჩემპიონატებში ჰელსინკის მერე ზედიზედ ოთხჯერ მოვიპოვე ოქროს მედალი, მანამდეც სამჯერ გავიმარჯვე, მაგრამ კალინჩუკი სამეულშიც კი ვერასოდეს მოხვდა.

საერთოდ, მედეა ჯუღელი ბჯენით ხტომებში აღიარებული ლიდერი იყო. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მზია ჯუღელი ამ დისციპლინაში საბჭოთა კავშირის შვიდგზის ჩემპიონია და ამ რეკორდს ველარავინ გააუმჯობესებს. ამ სახეობაში იმდენად ზემოთ იდგა სხვებზე, რომ დაშავებულიც კი იმარჯვებდა. ამასთან დაკავშირებით ტანმოვარჯიშეთა წრეში ერთი ამბავი თაობიდან თაობას საარაკოდ გადაეცემა.

ეს ამბავი 1954 წელს დაიწყო ავსტრიის ქალაქ გრაცის ამერიკულ ზონაში, სადაც საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს საჩვენებელი გამოსვლები ჰქონდათ. იქ მზია ჯუღელმა დარბაზის კულისებში შემთხვევით ხელის თითი მოიტეხა. უმალ ამერიკელთა ჰოსპიტალში გააქანეს და იქ მთელი ხელის მტევანი უშველებელ თაბაშირში ჩაუსვეს. სამიოდე კვირის მერე სვერდლოვსკში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატიც დაიწყო, ჯუღელს კი ხელი ისევ თაბაშირში ჰქონდა. ამიტომ თაბაშირი მოიხსნა და შეჯიბრებაზე უბრალოდ შეხვეული თითით გამოვიდა. ბჯენითი ხტომებისას თითს ძალა რომ არ დასდგომოდა, მუშტებით ხტებოდა. რომელიღაც რესპუბლიკის დელეგაციამ მსაჯთა კოლეგიაში პროტესტი დაწერა, ქართველები სპორტსმენის ჯანმრთელობას არად აგდებენ და შეჯიბრებაზე დაშავებული გამოჰყავთო. იმ რესპუბლიკის დელეგაციას ჯუღელის ჯანმრთელობაზე დარდი კი არა, ის აწუხებდა, რომ ეს გოგო, ეტყობა, მაინც ჩემპიონი გახდებაო. ამიტომ ჩვენებს ხელწერილი ჩამოართვეს, რომ ჯუღელს ტრავმა აღარ აწუხებს და შეჯიბრებით არც არაფერი დაუშავდებაო. ტკივილის მიუხედავად, მზია ჯუღელმა, შეჯიბრების მონაწილეთაგან ერთადერთმა, სავალდებულო პროგრამით ჩვეულებისამებრ უმაღლესი შეფასება — 10 ქულა დაიმსახურა, ნებისმიერში [illegible] ამ სახეობაში მეექვსე [illegible] ჩემპიონი. ამას გარდა, რგოლებზე, სადაც ასევე ჩემპიონის რანგში ასპარეზობდა, ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.

მსგავსი რამ იმ წლების საბჭოთა ნაკრებში მხოლოდ ერთს შეეძლო და ის ერთი, რაღა თქმა უნდა, მედეა ჯუღელი გახლდათ.

როცა მედეა ჯუღელის ხასიათზე, მის სპორტულ კარიერაზე და ნაირგვარ თავგადასავალ ამბებზე საუბრობენ, იხსენებენ მის მაღრასულ თავგადასავალსაც, რასაც თავადაც დიდი ხალისით გვიამბობს:

„მაშინ, 1956 თუ 57 წელი იყო და საბჭოთა ტანმოვარჯიშეებთან ერთად მთელი თვე ინდოეთში ვმოგზაურობდი და საჩვენებელ გამოსვლებშიც ვმონაწილეობდი. ერთ მშვენიერ დღეს მადრასში მაჰარაჯამ თავის მამულში მიგვიპატიჟა. დიდი ტბის პირას ულამაზესი ადგილი იყო. ერთგან, ყურესავით ადგილზე, ქოქოსი გადაწოლილიყო და სამი მეტრის სიმაღლეზე გადებულიყო, წყალში კი ვეება ნიანგები გარინდულიყვნენ. ჩვენმა მასპინძელმა მაჰარაჯამ, თქვენ ხომ ყველანი დვირზე ჯადოქრებივით დახტიხართ და ბზრიალებთ, ჰოდა, აბა, რომელი შეძლებთ ამ „დვირზე“ გასვლას, ოღონდაც ნიანგებისა ნუ შეგეშინდებათ, რკინის ნავით გამოგყვებითო. პასუხად ყველამ ერთმანეთს გადახედა, მე კი დაუფიქრებლად შევძახე, მე გავალ-მეთქი. რაკი საცურაო კოსტიუმი მეცვა, კაბა გავიძრე და იმ „ბანჯგვლიან“ „დვირზე“ გავედი, მის ბოლოში თუ კენწეროზე ორი ქოქოსიც მოვწყვიტე, კბილებით დავიჭირე და მშვიდობითაც დავბრუნდი. თანაგუნდელები აღტაცებისგან გადაირივნენ, გაკვირვებულ მაჰარაჯას კი ის ქოქოსები მივართვი. იმან, თავის მხრივ, 80 სპილოს ფიგურებიანი სპილოსძვლისავე მძივი მაჩუქა“.

ამ ამბის გახსენებით გახალისებული მედეა ჯუღელი „დოკუმენტურობისთვის“ იქ გადაღებულ კულმინაციურ ფოტოსაც მიჩვენებს, შუაგულ ქოქოსის „დვირზე“ ოლიმპიური ჩემპიონი რომ აღუბეჭდავთ.

მედეა ჯუღელის გულადობასთან დაკავშირებით ერთიც გვახსენდება — იტალიის გაზეთ „ტემპოში“ დასტამბული ფოტო, რომელზეც ვატიკანში ღვთის მსახურთან ერთად აღბეჭდილი ჩვენი წერილის გმირია, სურათს კი დაახლოებით ასეთი შინაარსის წარწერა აქვს — საბჭოთა ტანმოვარჯიშე მედეა ჯუღელს არც მეტოქეებისა ეშინია და ღვთის მსახურთანაც თამამადაა.

„მაშინ რომში ასპარეზობის დაწყებამდე ყველა ნაკრებიდან თითო სპორტსმენი ვატიკანში თანაგუნდელთა სახელით სპორტული ფიცის დასადებად წაგვიყვანეს. ცხადია, მე არავისი მეშინოდა, მით უმეტეს, ღვთის მსახურისა. აბა, ის რა ღვთის მსახურია, თუ კაცს მის დანახვაზე შეგეშინდება, მით უმეტეს, მე მორწმუნე არ ვიყავი. ჩვენ თაობას საბჭოთა რეჟიმი ურწმუნოდ ზრდიდა, ეკლესიებსაც ანგრევდა და ოჯახებსაც. მე ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, 13 წლისა, მაშინ გურჯაანში ვცხოვრობდით და დიდი რეპრესიების წლები იყო. 38-ის თებერვალში მამა დამიპატიმრეს, 8 მარტს, ქალთა დღეს კი დედაც გადაასახლეს. მშობლებთან მიმოწერაც კი აგვიკრძალეს და მათი ბედი დიდხანს არ ვიცოდი. მეოთხეკლასელი ბავშვი მერე თბილისში ბაბუამ წამოიყვანა და გამზარდა. გვიან საიდუმლოდ გამანდეს, რომ მამა „სამეულის გადაწყვეტილებით“ დაუხვრეტიათ, დედა კი ათი წლის მერეღა დამიბრუნეს. იმ დროს მე უკვე მრავალმხრივი სპორტსმენი ვიყავი. ცურვაში — საქართველოს I სპარტაკიადის ჩემპიონი, ტანვარჯიშში — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. წყალში ხტომაშიც გამოვდიოდი, მერე სათხილამურო რბოლის ესტაფეტაშიც საქართველოს ჩემპიონი გავხდი. ისე, ჩემთვის, წყლის თხილამურებითაც ვსრიალებდი და ამ საქმეს აგერ 1980 წლამდე მივდევდი, როცა ბათუმში ჩავდიოდი. ცხენით ჯირითი მაკლდა და 1996 წელს, ატლანტის ოლიმპიური თამაშების დღეებში იმასაც მოვახტი. თუმცა, მახსენდება, ცხენზე პირველად მეორე კლასის მოსწავლე შევჯექი. მაშინ სოფლად ჩვენთან მოსულმა სტუმარმა ცხენი ლაგამით ხეზე რომ მიაბა, მასზე ავბობღდი და მოვიტაცე... დიდი ალქაჯი ვინმე ვიყავი. მამა სულ ბრაზობდა, ეს გოგო ბიჭად უნდა დაბადებულიყო, ჩემს ტანმოვარჯიშედ გაზრდაში კი უმთავრესი წვლილი მიუძღვის ჩემსავე ფიზკულტურის მასწავლებელს, ცნობილ შალვა ბოსტაშვილს, დიდი შავი ულვაშების გამო ბუდიონას რომ ვეძახდით“.

**ავთანდილ გურასპიშვილი**



მედეა ჯუღელი შვილიშვილს ჰელსინკურ ამბებს „ხლაპად“ უამბობს



მედეა ჯუღელის მონაგარი



მედეა ჯუღელი ატლანტაში ცხენზეც ამხედრდა



პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ქალის ოქროს ნახტომი

ავთანდილ გურასპიშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

30 ქვეყნის 51 არაამერიკელი თამაშობს სადღეისოდ ნბა-ში. მომავალ სეზონში მათ კიდევ ორი-სამი ათეული შეუერთდება. დღეს ყველაზე რადიკალი ამერიკელი ნაციონალისტიც აღიარებს, რომ ნბა აღარაა მარტო ამერიკელების



2002 წლის დრაფტის პირველი შვიდი არჩევანიდან სამი არაამერიკელი იყო: პირველი — იაო მინგი, მეხუთე — ნიკა ცქიტიშვილი, მეშვიდე — ნენე ილარიო

# უცხო ველი

## ინტელექტი და ფანტაზია

### რას აძლევს ევროპა ამერიკას

**ნბა** თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ამრეზით უმზერდა დანარჩენ საკალათბურთო სამყაროს, ბოლო წლებში კი პლანეტის უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში ყველაფერი თავდაყირა დადგა. იქაურ კლუბებს აჰყავთ ისეთი უცხოელებიც კი, რომლებიც საკუთარ, მცირე საკალათბურთო ქვეყნებშიც ვერ იყვნენ პირველები. რაღა შორს ვეძებოთ, მაგალითად ჩვენებური ნიკა ცქიტიშვილიც გამოდგება. 19 წლის ქართველს ჰქონდა გარკვეული მიღწევები ევროპაში, თუმცა ის იქ საშუალო დონის კალათბურთელი იყო და უცებ ერთ-ერთმა კლუბმა დრაფტში მეხუთე ნომრად აიყვანა. აი, სასწაული! მასზე მაღალ ნომრად დრაფტების ისტორიაში მხოლოდ ერთი ევროპელი აურჩევიათ. თან ცქიტიშვილი არაა ერთადერთი ევროპელი, ვისაც ამერიკელები, ასე ვთქვათ, ნისიაზე ენდნენ. ათი წლის წინ 19 წლის ჩამოუყალიბებელ კალათბურთელს ყურადღებას არავინ მიაქცევდა. მაშინ ის დრო იყო, დრაჟენ პეტროვიჩს დრაფტის მესამე წრეში ირჩევდნენ, შარუნას მარჩიულიონისს — მეექვსეში.

ნამდვილად არა გვაქვს იმის პრეტენზია, ამერიკელებს მოთამაშეთა სელექციის კურსის შეცვლა მოვუწონოთ ან დავუწუნოთ. უბრალოდ, დავაფიქსიროთ: ამერიკულ კალათბურთში ახალი ერა დგება, ამერიკის ნაყოფიერ მიწაზე ბედის საძებნელად მიგრირებული უცხოელების ადგილობრივებთან შერწყმის და მათთან გათანაბრების ერა. მაშ, ასე:

#### ჩვენ ვირჩევთ ნიკოლოზ ცქიტიშვილს. ვიის?!

გარდა იმისა, რომ 2002 წლის დრაფტში ნბა-ს კლუბებმა აირჩიეს 15 უცხოელი, აქიდან 6 პირველ წრეში, რითაც ლამის გაორმაგდა უწინდელი სადრაფტო რეკორდები, ამერიკელებმა ძველ დრაფტებში აყვანილებიც გაიხსენეს: „ფილადელფიამ" კონტრაქტი გაუფორმა და მომავალ სეზონში, ალბათ, ათამაშებს კიდეც 1996 წელს დრაფტში აყვანილ და მერე მივიწყებულ ბერძენ ეფტიმიოს რენციასს. „სან ანტონიომ" გაიხსენა 1999 წლის დრაფტის დავიწყებული სახელი, არგენტინელი ემანუელ ჯინობილი, „კლიპერსს" დრაფტი 2000-ის მეორე წრეში არჩეული მარკო იარიჩი მოაგონდა. „დენვერმა" საიდანლაც გამოძებნა საერთოდ დრაფტგაუვლელი პრედრაგ სავოვიჩი. „მემფისმა" თავისთან დაუძახა გორდან გირიჩეკს, „დეტროიტმა" თავის შემადგენლობაში ჩაწერა მეჰმედ ოქური, „იუტამ" კი პირდაპირ გამოაცხადა, ჯონ სტოქტონი კიდევ ერთი წელი ითამაშებს და ესპანელ რაულ ლოპესს ნბა-ში ადაპტირებაში დაეხმარება, რომელიც მერე მის ადგილს დაიკავებსო.

ლოპესის მაგალითიდანაც ჩანს, ამერიკელები უარს ველარ ამბობენ არა მარტო მაღლებზე (რაც უნდა იყოს, ხარისხიანი სიმაღლე ყოველთვის დეფიციტი იყო თვით ნბა-შიც კი), არამედ გამთამაშებლებზეც კი. არადა, ამ ამპლუაში ვითომ მყარად ეკავათ პოზიციები ფეხმარდ და ცქვიტ ზანგ ბიჭებს. ზანგი კალათბურთელების სამჭედლოში, დიდი ამერიკული ქალაქების გეტოებში, უამრავი რიგიანი უკანაზაზელი იზრდება და მათ ათვისებული აქვთ არა მარტო ამერიკული ბაზარი, ნბა და სხვა მომცრო ლიგები, არამედ ლამისაა ევროპაც წალეკონ და გაიხსენეთ, ერთი მათგანი, ჯეფ როჯერსი, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატშიც კი გამოჩნდა. ვერავინ იტყვის, როჯერსს კალათბურთი არ ესმისო, ის აშკარად იმსახურებს გაცილებით მაღალ დონეზე თამაშს, მაგრამ კონკურენციამ იგი მსოფლიოს კალათბურთის პერიფერიაზე, საქართველოში გამორიყა.

ამ დროს კი საკალათბურთო ოლიმპზე საპირისპირო ხასიათის მოვლენები ვითარდება. რაულ ლოპესი, ევროლიგის ერთ-ერთი, თითქმის რიგითი ვარსკვლავი ნბა-ს ყველა დროის უძლიერესი მეპასის, ჯონ სტოქტონის ადგილის დასაკავებლად ემზადება. იქნებ იუტელები ლოპესში ტონი პარკერის დარ ნიჭს ხედავენ. 19 წლის ფრანგმა გამთამაშებელმა პარკერმა პირველივე წელს ააფორიაქა ნბა. ეს უცხოელი „ლეპი" ტოლ-სწორად ექიდავა 90-იანი წლების იქნებ უძლიერეს გამთამაშებელს, გერი პეიტონს. პარკერი კარგი ბიჭია და ევებ არანაკლებია ლოპესი, მაგრამ მათი მსგავსნი ლამის ათეულობით არიან ევროპაში, ნუთუ ყველას მოხვეტას აპირებს ნბა? შესაძლოა.

#### ამერიკა ზონაში

ეს ერთი წელია, ნბა-ში გაუქმდა პრინციპული წესი — ერთი-ერთზე დაცვა ანუ დაუშვეს ზონური დაცვა, რითაც ნბა-მ შეცვალა ბარე ნახევარი საუკუნის წინ აღებული კურსი. ამერიკული კალათბურთი ზონური დაცვის გარეშე მოვიდა დღევანდლობამდე, ზესანახობრივ თამაშამდე და უცებ კალათბურთის შოუდ ქცევის ერთ-ერთი უმთავრესი განმაპირობლობის ფაქტორი გაუქმდა.

ამის ორი მიზეზი არსებობს — შაკილ ონილი, რომლის გაჩერება ზონური დაცვის გარეშე შეუძლებელ ამოცანად ექცა მთელ ნბა-ს და ამერიკულ და დანარჩენი მსოფლიოს კალათბურთს შორის ნაპრალის ამოვსება. დიახ, მაგრამ თუ შაკილ ონილი ამოუცნობი ფენომენია, რომლის დარიც 30 წელიწადში ერთხელ ან იბადება და ან არა, ნბა-ს და ევროპის გათანაბრება კანონზომიერებაა.

„ვიცოდი, რომ მსოფლიო ძალიან წინ არ გაგვიშვებდა და ადრე თუ გვიან დაგვეწეოდა, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, რომ ეს ასე მალე მოხდებოდა" — თქვა 2000 წლის ოლიმპიადის შემდეგ ნბა-ს პატრიარქმა დევიდ შტერნმა. სიდნეის ოლიმპიადის შემდეგ მას დიახაც გაუჩნდა საფიქრალი. ბარსელონის ოლიმპიადაზე, 1992 წელს, მისი სამწყსოს რჩეული ბიჭები ხელის ერთი გაქნევით 40-50 ქულით ამარცხებდნენ მსოფლიოს უძლიერეს ნაკრებებს. რვა წლის შემდეგ, სიდნეიში კი ამერიკა ლამის შოკში ჩავარდა. თურმე დანარჩენი მსოფლიო მას უფსკრულით კი არა, ერთი ზუსტი სროლით ჩამორჩებოდა. პირტიტველა ლიტველ შარუნას იასიკევიჩუსს ერთი სამქულიანი დააკლდა და ამერიკა ოლიმპიადის ნახევარფინალში წააგებდა. კი, იმ ამერიკას აკლდა შაკილ ონილი, კობი ბრაიანტი, ტიმ დანკანი და ალენ აივერსონი, მაგრამ არც ლიტვა იყო სრულყოფილი, საბონისი, ილგაუსკასი და კარნიშოვასი არ ჰყავდა. და საერთოდ, განა შეიძლება, ტიმინსკასის კევინ გარნეტთან შედარება? არ შეიძლება. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ტიმინსკასისნაირთა და ამერიკელ სუპერვარსკვლავთა მხარდამხარ თამაში საქმეს არ აფუჭებს. ხშირად კარგიცაა. აი, მაგალითად: გერმანელ დირკ ნოვიცკის ნბაში უფრო მეტისთვის მიუღწევია, ვიდრე იგივ გარნეტს.

ალბათ, სწორედ სიდნეის ოლიმპიადაზე თუ არ დაინგრა, დაიბზარა მაინც სტერეოტიპი, რომ კალათბურთი ზანგების თამაშია. ზანგებს ვერავინ წაართმევს კუნთა სხეულებს. ისინი თეთრებზე მოქნილები, ელასტიურები და ჯანიანები არიან, მათზე სწრაფად დარბიან და უფრო მაღლა ხტებიან, მაგრამ აღმოჩნდა, რომ კალათბურთი მარტო ფრენა და ლამაზი ჩატენვა არ არის და შესაძლოა, ეს თავად ამერიკელებმა აღმოაჩინეს.

#### ამერიკელები ამერიკას ევროპაში ეძებენ

შესაძლოა, არც ერთ სპორტულ ლიგაში არ ტრიალებდეს იმდენი ფული, რამდენიც ნბა-ში. ამერიკაში კალათბურთით ყველა მდიდრდება, დაწყებული მესამე რანგის მზვერავიდან, სუპერვარსკვლავებით დამთავრებული. კალათბურთელს, რომელსაც ერთი მილიონი წლიური ხელფასი არა აქვს, ზედაც არავინ უყურებს. ახალბედები, რომლებიც ნბა-ში, ნაღდ საქმეში არავის უნახავს, დრაფტიდან ორ კვირაში ორ-სამ მილიონიან კონტრაქტს აფორმებენ. ბევრისთვის, ვისაც ღარიბი ბავშვობა ჰქონდა, ნბა-ს მილიონები სულის მოთქმის საშუალებაა და თუ იმსახურებს, ალალი იყოს, მაგრამ მოდით, კითხვა შევაბრუნოთ — რა ხეირი მოაქვს ზოგადად კალათბურთისთვის მილიონებს?

ამერიკელი მობურთალები ბავშვობიდანვე იწამლებიან ნბა-ში თამაშისა და იქაური მილიონების ჩაჯიბვის წყურვილით. ვინღა უყურებს ოთხწლიან საუნივერსიტეტო განათლებას და სტუდენტურ-მოყვარულთა ლიგას (რომელიც, ჩვენში დარჩეს და, შესანიშნავი რამაა). კალათბურთელებს უკვე პირდაპირ სკოლის დამთავრების შემდეგ, 18-19 წლისას მიეჩქარებათ „სამოთხეში", ნბა-ში. ნბა კი უზარმაზარ დატვირთვებს და ექვსი თვის განმავლობაში ყოველ კვირა სამ-სამ 48-წუთიან თამაშს ნიშნავს. შემდეგ კი აი, რა ხდება: 22-23 წლის ამერიკელმა მეტოქის დამარცხების ყველა თეორიული ხერხი იცის და მდიდარი პრაქტიკაც აქვს, მაგრამ მას აკლია ის თავისუფალი ფანტაზია, რომლითაც ლარი ბერდი, მეჯიქ ჯონსონი და მათი წინამორბედები თამაშობდნენ.

ამერიკელებმა ყველაფერი იციან კალათბურთზე, ხვდებიან და ძვირად, მაგრამ მაინც აღიარებენ, რომ მათი თამაში ძალიან ხისტი გახდა. მერე ამერიკელები მიემგზავრებიან ევროპაში, სხვა მიწებზე, საკალათბურთო ფანტაზიისა და ინტელექტის საძებნად. ისინი იქ ვერ იპოვიან მაიკლ ჯორდანს, მაგრამ უკვე იპოვეს დირკ ნოვიცკი, პრედრაგ სტოიაკოვიჩი, პაუ გასოლი... და ვინ იცის, იქნებ ნიკა ცქიტიშვილიც.

**ირაკლი ფირუზაშვილი**


დირკ ნოვიცკი: ყველაზე ნაყოფიერი ევროპელი ნბა-ში


პაუ გასოლი ყველაზე მაღალ ნომრად არჩეული ევროპელია

#### უცხოელები ნბა-ს დრაფტებზე

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2001 | 1-3 | პაუ გასოლი | ესპანეთი | ატლანტა |
| 2001 | 1-8 | დესაგანა დიოპი | სენეგალი | კლივლენდი |
| 2001 | 1-12 | ვლადიმირ რადმანოვიჩი | იუგოსლავია | სიეტლი |
| 2001 | 1-24 | რაულ ლოპესი | ესპანეთი | იუტა |
| 2001 | 1-28 | ტონი პარკერი | საფრანგეთი | სან ანტონიო |
| 2001 | 2-38 | მეჰმედ ოქური | თურქეთი | დეტროიტი |
| 2001 | 2-48 | ანტონის ფოცისი | საბერძნეთი | მემფისი |
| 2001 | 2-56 | რობერტას იავტოკასი | ლიტვა | სან ანტონიო |
| 2000 | 1-11 | ჟერომ მოისო | საფრანგეთი | ბოსტონი |
| 2000 | 1-16 | ჰიდაიეთ თურქოღლუ | თურქეთი | საკრამენტო |
| 2000 | 1-19 | ჯამაალ მაღლუ | კანადა | შარლოტი |
| 2000 | 1-24 | დალიბორ ბოგარიჩი | ხორვატია | ჩიკაგო |
| 2000 | 1-25 | იაკოვოს ცაკალიდისი | საბერძნეთი | ფინიქსი |
| 2000 | 1-27 | პრიმოშ ბრეზეცი | სლოვენია | ინდიანა |
| 2000 | 2-30 | მარკო იარიჩი | იუგოსლავია | კლიპერსი |
| 2000 | 2-38 | ედუარდო ნაჯერა | მექსიკა | ჰიუსტონი |
| 2000 | 2-42 | ოლუმიდე ოიედეჯი | ნიგერია | სიეტლი |
| 2000 | 2-47 | იოსიპ სეზარი | ხორვატია | სიეტლი |
| 2000 | 2-51 | იგორ რაკოჩევიჩი | იუგოსლავია | მინესოტა |
| 1999 | 1-15 | სტივ ნეში | კანადა | ფინიქსი |
| 1999 | 1-16 | ფრედერიკ ვეისი | საფრანგეთი | ნიუ იორკი |
| 1999 | 1-24 | ანდრეი კირილენკო | რუსეთი | იუტა |
| 1999 | 2-36 | ვანგ ჟიჟი | ჩინეთი | დალასი |
| 1999 | 2-40 | გორდონ გირიჩეკი | ხორვატია | დალასი |
| 1999 | 2-47 | ტოდ მაკალოქი | კანადა | ფილადელფია |
| 1999 | 2-58 | ემანუელ ჯინობილი | არგენტინა | სან ანტონიო |
| 1998 | 1-1 | მაიკლ ოლოვოკანდი | ნიგერია | კლიპერსი |
| 1998 | 1-9 | დირკ ნოვიცკი | გერმანია | მილუოკი |
| 1998 | 1-17 | რადოსლავ ნესტეროვიჩი | სლოვენია | მინესოტა |
| 1998 | 1-18 | მირსად თურქჯანი | თურქეთი | ჰიუსტონი |
| 1998 | 1-24 | ფელიპე ლოპესი | დომინიკის რესპ. | სან ანტონიო |
| 1998 | 1-27 | ვლადიმირ სტეფანია | საქართველო | სიეტლი |
| 1998 | 2-35 | ბრუნო სუნდოვი | ხორვატია | დალასი |
| 1997 | 1-11 | ტარიქ აბდულ-ვაჰადი | საფრანგეთი | საკრამენტო |
| 1997 | 1-18 | კრის ენსტი | ავსტრალია | პორტლენდი |
| 1997 | 2-34 | მარკო მილიჩი | სლოვენია | ფილადელფია |
| 1997 | 2-49 | პრედრაგ დრობნიაკი | იუგოსლავია | ვაშინგტონი |
| 1997 | 2-50 | ალან დიგბე | საფრანგეთი | ატლანტა |
| 1997 | 2-56 | ბენ პეპერი | ავსტრალია | ბოსტონი |
| 1997 | 2-58 | რობერტო დუენიასი | ესპანეთი | ჩიკაგო |
| 1996 | 1-12 | ვიტალი პოტაპენკო | უკრაინა | კლივლენდი |
| 1996 | 1-14 | პრედრაგ სტოიაკოვიჩი | იუგოსლავია | საკრამენტო |
| 1996 | 1-20 | ჟიდრუნას ილგაუსკასი | ლიტვა | კლივლენდი |
| 1996 | 1-23 | ეფტიმიოს რენციასი | საბერძნეთი | დენვერი |
| 1996 | 1-25 | მარტინ მიურსეპი | ესტონეთი | იუტა |
| 1995 | 2-31 | დრაგან ტარლაჩი | საბერძნეთი | ჩიკაგო |
| 1995 | 2-51 | დეიან ბოდიროგა | იუგოსლავია | საკრამენტო |
| 1995 | 2-54 | ეურელიუს ჟუკაუსკასი | ლიტვა | სიეტლი |
| 1994 | 2-36 | ანდრეი ფეტისოვი | რუსეთი | ბოსტონი |
| 1994 | 2-54 | ჟელკო რებრაჩა | იუგოსლავია | სიეტლი |
| 1993 | 2-30 | გეორგ მურეშანი | რუმინეთი | ვაშინგტონი |
| 1993 | 2-50 | მარსელო ნიკოლა | არგენტინა | ჰიუსტონი |
| 1992 | 2-43 | პრედრაგ დანილოვიჩი | იუგოსლავია | გოლდენ სტეიტი |
| 1991 | 1-4 | დიკემბე მუტომბო | ზაირი | დენვერი |
| 1991 | 1-24 | რიკ ფოქსი | კანადა | ფილადელფია |
| 1991 | 2-51 | ჟან ტაბაკი | იუგოსლავია | ჰიუსტონი |
| 1990 | 2-29 | ტონი კუკოჩი | ხორვატია | ჩიკაგო |
| 1990 | 2-52 | სტეფანო რუსკონი | იტალია | კლივლენდი |
| 1989 | 1-26 | ვლადე დივაცი | იუგოსლავია | ლეიკერსი |
| 1989 | 2 | დინო რაჯა | იუგოსლავია | ბოსტონი |
| 1988 | 3 | ხორხე გონსალესი | არგენტინა | ატლანტა |
| 1987 | 3 | ხონგ ტაო | ჩინეთი | ატლანტა |
| 1987 | 4 | თეოფანის ხრისტოდულუ | საბერძნეთი | ატლანტა |
| 1987 | 5 | ხოსე ანტონიო მონტერო | ესპანეთი | ატლანტა |
| 1987 | 6 | შარუნას მარჩულიონისი | სსრკ | გოლდენ სტეიტი |
| 1987 | 6 | რიკარდო მორანდოტი | იტალია | ატლანტა |
| 1987 | 7 | ფრანიო არაპოვიჩი | იუგოსლავია | ატლანტა |
| 1986 | 1-24 | არვიდას საბონისი | სსრკ | პორტლენდი |
| 1986 | 2 | აუგუსტო ბინელი | იტალია | ატლანტა |
| 1986 | 3 | დრაჟენ პეტროვიჩი | იუგოსლავია | პორტლენდი |
| 1986 | 6 | ალექსანდრ ვოლკოვი | სსრკ | ატლანტა |
| 1986 | 7 | ვალერი ტიხონენკო | სსრკ | ატლანტა |
| 1985 | 2 | ფერნანდო მარტინი | ესპანეთი | ნიუ ჯერსი |
| 1985 | 4 | არვიდას საბონისი | სსრკ | ატლანტა |
| 1985 | 5 | გიუნტერ ბენკე | გფრ | კლივლენდი |
| 1985 | 7 | გეორგი გლუკოვი | ბულგარეთი | ფინიქსი |
| 1984 | 1-1 | აკიმ ოლაჯუონი | ნიგერია | ჰიუსტონი |
| 1984 | 6 | ოსკარ შმიდტი | ბრაზილია | ნიუ ჯერსი |
| 1983 | 5 | მანუტე ბოლი | სუდანი | სან დიეგო |
| 1982 | 9 | პანაიოტის გიანაკისი | საბერძნეთი | ბოსტონი |
| 1981 | 8 | იასუტაკა ოკაიამა | იაპონია | გოლდენ სტეიტი |
| 1975 | 10 | ალექსანდრ ბელოვი | სსრკ | ახალი ორლეანი |
| 1970 | 10 | მანუელ რაგა | მექსიკა | ატლანტა |
| 1970 | 11 | დინო მენეგინი | იტალია | ატლანტა |

*მეორე სვეტში მითითებულია ჯერ დრაფტის წრე, მერე არჩევანის ნომერი*

# გადადებული სადღეგრძელო

## ვირტუალურ შვილიშვილებს მოცდა მოუწევთ




ანა კურნიკოვა

**CANADA TENNIS MASTERS**
ტორონტო. პარდი
საპრიზო 2,95 მილიონი $

**პირველი წრე**

**პიტ სამპრასი (13, აშშ) — უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკა) 7:6 (8:6), 5:7, 6:4; მარატ საფინი (2, რუსეთი) — ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) 6:4, 6:3; ტომი ჰაასი (3, გერმანია) — ფრედერიკ ნიმეიერი (კანადა) 6:3, 6:3; ევგენი კაფელნიკოვი (5, რუსეთი) — მაქს მირნი (ბელარუსი) 6:4, 6:7 (5:7), 6:2; ვინსენტ სპადეა (აშშ) — ალბერტ კოსტა (6, ესპანეთი) 6:3, 6:4; ხუან კარლოს ფერერო (8, ესპანეთი) — ტომას ენქვისტი (შვედეთი) 7:6 (7:5), 6:7 (4:7), 7:5; სებასტიან გროჟანი (11, საფრანგეთი) — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 3:6, 7:6 (7:5), 6:4; ენდი როდიკი (12, აშშ) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:2, 6:4; კარლოს მოია (16, ესპანეთი) — ჟულიენ ბუტე (საფრანგეთი) 7:6 (7:5), 6:4; ანდრეი პაველი (რუმინეთი) — გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) 7:5 (კუერტენმა შეწყვიტა); იარკო ნიემინენი (ფინეთი) — რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) 7:5, 6:4; იუნეს ელ აინაუი (მაროკო) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:4, 2:6, 6:4; მარიანო საბალეტა (არგენტინა) — დავიდე სანგუინეტი (იტალია) 7:6 (8:6), 6:4; მარკუს ჰიპფლი (ავსტრია) — ფერნანდო გონსალესი (ჩილე) 4:6, 7:6 (7:3), 6:3**

კარიერის განმავლობაში 63 საერთაშორისო ტიტულისა და 42,3 მილიონი დოლარის მომხვეჭ პიტ სამპრასს, რომელსაც დაბადებიდან 31 წელი ერთ კვირაში შეუსრულდება, უკვე 30 ტურნირია, საშინელი ტიტულგაზობა სტანჯავს ანუ, უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, მას 2000 წლის უიმბლდონის შემდეგ ერთი ქეციანი ტიტულიც აღარ მიუთვლია.

წლევანდელმა სათიხნარ-საბალახო სეზონებმა 13-გზის მესლემტიტულეს ვერც დიდება შემატა და ვერც ვერაფერი. აქა-იქ ნათამაშები 31 შეხვედრიდან დიადმა ელინოამერიკელმა მხოლოდ 17-ში იმარჯვა და 124 ქულის მქონემ ეს კვირა ჩემპიონთა რბოლის ოდენ 35-ე ადგილით დაიწყო.

სხვათა შორის, წლეულს წაგებული 14 მატჩიდან ერთი მან სამხრეთაფრიკელ უეინ ფერეირასთან დათმო. ეს მათი მეთორმეტე შეხლა იყო და სამხრეთაფრიკელმა — დახეთ! — მეექვსედ იმარჯვა. სწორედ მაშინ ამბობდა, ჩემი შვილიშვილებიც კი იამაყებენ იმით, რომ მათმა ბაბუამ ყველა დროის უდიდეს მეჩოგნესთან პირადი დავა ფრით (6:6) გაასრულაო.

აპრუწუწუწ! პიტისა და მათი ბაბუის იმდღევანდელი, ჩვეულებისამებრ დაძაბული განდაგანის შემდეგ ფერეირას ვირტუალურ შვილიშვილებს საამაყო და სადღეგრძელებელი კიდევ გაურკვეველი ვადით გადაედოთ.

კბილა ვეტერანთა მეცამეტე პაექრობამ 2 საათსა და 14 წუთს გასტანა. სასწორი აქეთ-იქით ქანაობდა და დამთრგუნველი უპირატესობა არც ერთს მათგანს მოუხაგრავს. ერთი ეგ იყო, პიტს მოწოდებაც კარგად გამოსდიოდა, ჯამში 23 ეისს მოუყარა თავი და ურიგოდ არც ბადესთან მიძალებისას გარჯილა.

ერთი სიტყვით, კარგი რამ თამაში გახლდათ. სამპრასი ნამატჩევს კმაყოფილობდა და ჭომაგთა მიერ ნანახი ჩოგბურთის მაღალდონეობას აღნიშნავდა.

სხვაფრივ — პირველი დღის დარი სენსაცია, აი, ისეთი, ფელიქს მანტიამ პირველ ნომრად განთესილი ლეიტონ ჰიუიტი რომ გააძევა, აღარ მომხდარა, თუმცა ელიტარულმა ამქარმა რამდენიმე სახელიანი მეჩოგნე მაინც დაისაკლისა. სახელდობრ — უიმბლდონის 1996 წლის ჩემპიონი და ტორონტოს 1998 წლის ფინალისტი რიჩარდ კრაიჩეკი, სამგზის მეროლანგაროსე გუსტავო კუერტენი და როლან გაროსის წლევანდელი მაოხარი ალბერტ კოსტა (6).

კრაიჩეკმა წელს ამობრწყინებულ, ეშტორილსა და მალიორკაში ნაფინალისტარ უნიჭიერეს ფინელთან, იარკო ნიემინენთან წააგო. გუგაბიჭს ნაოპერაციები ბარძაყი წამოსტკივდა და შარშანდელ ჩემპიონ ანდრეი პაველთან მხოლოდ ერთი სეტი ითოგნავა. რაც შეეხება კოსტას, ისე-რა ამერიკელმა ვინს სპადეამ იგი ისე ძალდაუტანებლად აოტა, რომ სჯობდა, კორტზე სულაც არ გასულიყო.

მეორე წრეში პაველი მარატ საფინს (2) დაეჯახება. ჰიუიტის გავარდნის შემდეგ გაპირველებულმა რუსმა ხუან იგნასიო ჩელას, ამ ორი კვირის წინ პოლანდიურ ამერსფოორტში თავისი პირველი ტიტულის მომპოვებელს საათსა და 13 წუთში აჯობა.

ასე ჯიგრიანად კარგა ხანი არ მიბურთავიაო, იძახდა ნამატჩევს მარატი, ვინაც უიმბლდონის მეორე წრიდან გამოვარდნის შემდეგ მოსკოვში დუნდებოდა და ამიტომ ახლა ჯანმოსულად გამოიყურება.

„მართლაც კაცურად დავისვენე გამოფიტული ეფყაეი და ცოტა რომ არ გამელაღა, კორტის დანახვაზე ცუდად გავხდებოდი. ერთი იმის მეშინია, ნამეტანი ხომ არ მომივიდა" — დასძინდა ბოლოს.

წინ უპრობლემოდ წაიწია საფინისმომდევნოდ განთესილმა ტომი ჰაასმაც. გერმანელს თითქმის ორ თვემდე დაესვენა, რაკიღა ავტოავარიაში დაშავებული მშობლებისთვის უნდა ეძიძავა.

თიხიდან მაგარსაფარზე უდრტვინველად გადაერთო კარლოს მოია, რომელმაც ივლისში ნათამაშებ 14 მატჩში 13 მოიგო და კარიერის ჯილდომარაგი ბასტადურ-უმაგური თასებით გაიმდიდრა.

და ბოლოს — 23 წლის ამერიკელი ჯეიმს ბლეიკი, რომელსაც კარიერის განმავლობაში არაფერი მოუგია, ჩემპიონთა შარშანდელ რბოლაში 88-ე იყო, ხოლო ამჟამად 30-ე ადგილზე ბუდობს, გუშინ უსექსუალურეს ხვად მეჩოგნედ დასახელდა.

ამ ზანგელა ბიჭის ეროტიკული ხიბლი ჯერჯერობით მხოლოდ ოკეანისგაღმა რეკლამირდება და მისით ოდენ იქაური მდედრები ტკბებიან. ამის მიზეზი გასაგებია — მას საკუთრივ საჩოგნაო თვალსაზრისით ზოგადსაპლანეტო არაფერი გაუკეთებია და, როგორც თავად ამბობს, აქამდე ATP ტურს თუ ეკუთვნოდა, არც კი იცოდა.

მოკლედ, ერთი ქაცა-ჭეცა ვინმეა და, მდედრიონმა გვაპატიოს, მაგრამ თუკი საქმე სექსუალობაზე მიდგება, ისევ სექსმეჩოგნე გოგოებზე წავისაუბრებთ!

**ACURA CLASSIC WTA**
სან დიეგო. პარდი
საპრიზო 750 ათასი $

**პირველი წრე**

**ანა კურნიკოვა (რუსეთი) — ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) 6:0, 6:1; კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 6:2, 6:7 (2:7), 6:2; აი სუგიამა (იაპონია) — ლაიზა რეიმონდი (აშშ) 7:5, 6:0**

**მეორე წრე**

**ჯენიფერ კაპრიატი (2, აშშ) — ეშლი ჰარკლროუდი (აშშ) 6:0, 6:3; ელენა დოკიჩი (6, იუგოსლავია) — გალა ლეონ გარსია (ესპანეთი) 6:2, 7:5; ელენა დემენტიევა (8, რუსეთი) — პაოლა სუარესი (არგენტინა) 6:4, 6:2; ანასტასია მისკინა (9, რუსეთი) — ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) 1:6, 6:3, 6:4; ანა სმაშნოვა (12, ისრაელი) — მარისა ირვინი (აშშ) 5:7, 6:1, 6:1**

დღის უმთავრეს მოვლენებად უიმბლდონური მეოთხედფინალის შემდეგ უთამაშებელი ჯენი კაპრიატისა და ამ ბოლო მოყინჩებული ანა კურნიკოვას წარმატებები იქცა.

ჯენიმ 17 წლის თვისტომ, ბუთქუნა ეშლი ჰარკლროუდს მოუგო, ანამ კი მოულოდნელად იოლად დაიმორჩილა დოქტორ ჯეის ხორცშემოსხმული ნაბუშარი, ალექსანდრა სტივენსონი.

მსოფლიოში ამჟამად მესამე ჩოგნის მქნეველმა და ნამგზის მესლემტიტულე კაპრიატიმ უმცროს მეტოქეს ისეთები უბრახუნა, ეს უკანასკნელი კორტის ერთი კუთხიდან მეორემდე გადარბენას ვერ ასწრებდა.

ნამატჩევს ჯენიმ ბევრი და მჭევრად ილაპარაკა. აქეთურ-იქითური კითხვების შემდეგ ჟურნალისტებმა მას ბოლო-ბოლო მისი და შავდა უილიამსების ურთიერთობათა შესახებაც დაეკითხნენ. აქაოდა, წლეულს ორივემ 5-5 ტიტული მიითვალა, შენ კი ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ არაფრით გამოგიჩენიაო.

„კარგი პერიოდი ყველას უდგება — უპასუხა კაპრიატიმ — სერენას ახლა სწორედ ასეთი პერიოდი აქვს, მაგრამ თუ მოიგონებთ, მისი და ჩემი შეხვედრები ყოველთვის ძალზედ დაძაბულად მიმდინარეობდა. უცილო პირველობისთვის მოსურნემ ყველაფერი უნდა მოიგოს, აი, ისე, როგორც ამას მარტინა ჰინგისი აკეთებდა. სერენას კი ეს ჯერ არ გამოსდის. ჩემთვის ძალიან ძნელია, მაინც დომინანტური ფიგურა ვუწოდო, როცა ყოველი ჩვენი შეხვედრისას ისეთი გრძნობა მეუფლება, რომ სწორედ მე უნდა ვიგებდე და არა ის".

ჯენის ასეთი უცნაურ-ბოლმიანი სპიჩის მომსმენთ ჩაკითხვ-ჩაღრმავების სურვილი აღარ გასჩენიათ. ყველაფერი ხომ ისედაც ცხადი იყო...

რაც შეეხება სექსანას, სტივენსონის უმძლავრესი პირველი მოწოდება მან საუცხოოდ გააუვნებლა და მთელი მატჩის განმავლობაში ისე მარდად და ჩაუქად ირჯებოდა, რომ ზონზროხა ამერიკელს ფიორა შანსი არ მისცემია.

**ლევან ძელაურაძე**



მარატ საფინი



პიტ სამპრასი

ცურვა

**ევროპის ჩემპიონატი ბერლინი**

# რეკორდი და ღვინო: უფრო ძველი, უფრო კარგი



პეტრა დალმანი, ჰანა შტოკბაუერი, ფრანცისკა ვან ალმსიკი და ალესა რიესი

პეტრა დალმანი, კატრინ მაისნერი, სანდრა ფოლკერი და ფრანცისკა ვან ალმსიკი გერმანელები არიან. ამ ოთხეულმა 4X100 მეტრი თავისუფალი სტილით 3,36,00 წუთში გაცურა და 12 წლის წინ ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების მიერ დამყარებული მსოფლიოს რეკორდი (3,36,61) გააუმჯობესა.

ეს ამბავი ბერლინში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე მოხდა. ცხადია, გერმანელმა ქალებმა ოქრო მოიპოვეს და მერე 4X200 მეტრზეც იპირველეს. ოღონდ ამ დისტანციაზე სანდრა ფოლკერის და კატრინ მაისნერის მაგივრად ალესა რიესმა და ჰანა შტოკბაუერმა გაცურეს.

მსოფლიოს რეკორდი დაამყარა შვედმა ქალმა ანა-კარინ კამერლინგმაც. ანა-კარინმა ბატერფლაით 50-მეტრიანი საწყლოსნო ბილიკი 25,57 წამში დაფარა.

„არც კი ვიცოდი, თუ ეს დრო მსოფლიოს რეკორდისთვის საკმარისი იყო. სიმართლე გითხრათ, ასეთ დიდ შედეგს ნამდვილად არ ველოდი" — თქვა მერე კამერლინგმა.

ევროპის რეკორდის ავტორი ფინელი იერე ჰარდი გახდა. კაცებში 50-მეტრიანი დისტანცია ჰარდმა ბატერფლაით 23,50 წამში გაცურა, რაც სარეკორდოდ და ოქროს მედლისთვის საკმარისი აღმოჩნდა.

16 წლის რუსგოგო სტანისლავა კომაროვა შარშან მსოფლიოს ვიცეჩემპიონი გახდა. თინეიჯერის ასეთი წარმატება მაშინ სპეციალისტებმა შემთხვევითობას მიაწერეს. ახლა კი სტანისლავამ თავისი დაამტკიცა და ევროპული ოქრო მოიგო. კომაროვა 200-მეტრიანი დისტანციის ფინიშთან გულაღმა 2,09,49 წუთში მიცურდა და ისეთ გამოცდილებს გადაასწრო, ესპანელი ნინა ზივანევსკაია და უკრაინელი ირინა ამშენიკოვა რომ არიან. ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი რუმინელი დიანა მოჩანუ კი ოდენ მე-5 იყო.

მოულოდნელად მეორე იყო მსოფლიოს ჩემპიონი და რეკორდსმენი რუსი რომან სლუდნოვი. 100 მეტრზე ბრასით სლუდნოვმა სტარტი წააგო და წინ უკრაინელი ოლეგ ლისოგორი გაუშვა. გაუშვა და ველარ დაეწია. ლისოგორისთვის ეს პირველი დიდი წარმატება იყო ასეთ ჩემპიონატებზე.

**თამილა ჭუმბურიძე**

**ვაჟები**

**50მ ბატერფლაი**

| | |
|---|---|
| 1. იერე ჰარდი (ფინეთი) | 23,50 |
| 2. ტომას რუპრატი (გერმანია) | 23,78 |
| 3. ლარს ფროლანდერი (შვედეთი) | 23,85 |

**100მ გულაღმა**

| | |
|---|---|
| 1. სტივ ტეილოკი (გერმანია) | 54,42 |
| 2. მარკუს როგანი (ავსტრია) | 54,54 |
| 3. პიერ როჟერი (საფრანგეთი) | 54,89 |

**100მ ბრასი**

| | |
|---|---|
| 1. ოლეგ ლისოგორი (უკრაინა) | 1.00,29 |
| 2. რომან სლუდნოვი (რუსეთი) | 1.00,72 |
| 3. იუგო დიუბოსკ (საფრანგეთი) | 1.01,04 |

**ქალები**

**50მ ბატერფლაი**

| | |
|---|---|
| 1. ანა-კარინ კამერლინგი (შვედეთი) | 25,57 |
| 2. დანიელა სამულსკი (გერმანია) | 26,86 |
| 3. ჩანტალ გრუტი (ჰოლანდია) | 26,91 |

**200მ გულაღმა**

| | |
|---|---|
| 1. სტანისლავა კომაროვა (რუსეთი) | 2.09,49 |
| 2. ნინა ზივანევსკაია (ესპანეთი) | 2.09,49 |
| 3. ირინა ამშენიკოვა (უკრაინა) | 2.11,59 |

**4X100 მ**

1. გერმანია 3.36,00; 2. შვეიცარია 3.38,16; 3. ესპანეთი 3.39,12

**4X200 მ**

1. გერმანია 7.59,07; 2. ესპანეთი 8.05,83; 3. შვედეთი 8.08,46



REUTERS მანჩესტერიდან

# სისწრაფე

მანჩესტერში მიმდინარე თანამეგობრობის თამაშებზე თავიანთ სიტყვას ინვალიდებიც ამბობენ. ტანი გერიტომპსონი უელსელი გოგონაა, რომელიც ინვალიდთა სავარძლებით რვაას მეტრზე რბოლაში მონაწილეობს და ამ მანძილს 2 წუთსა და 5 წამში ფარავს.

# ბეკერი ინდოეთში

ინდოეთს სტუმრობს განთქმული გერმანელი ჩოგბურთელი ბორის ბეკერი, რომელიც ნიუ დელიში საქველმოქმედო თამაშის გასამართად ჩასულა. ამ მატჩს ქველმოქმედების გარდა მიზნად ისიც აქვს, რომ ჩოგბურთს პოპულარიზაცია გაუწიოს ჰინდუსტანში. ბეკერს კი თურმე ინდური კინოს ვარსკვლავი ამირ ხანი (მარჯვნივ) მასპინძლობს.



REUTERS ინდოეთიდან



REUTERS კუპერსტაუნიდან

# დიადი

დიდი ბეისბოლისტი ოზი სმიტი ბეისბოლის დიდების დარბაზში მიიღეს. არც გასაკვირია: კაცმა 19 წელიწადს ითამაშა, 14-ჯერ მოხვდა „ოლ სტარზში“, 13 ოქროს ხელთათმანი მოიპოვა, ექვსი სალიგო რეკორდი დაამყარა და საერთოდაც დაცვით თამაშში გადატრიალება მოახდინა თავისი აკრობატული სტილით. მთელი კარიერა ორ კლუბში, „სენტ ლუის კარდინალზსა“ და „სან დიეგო პადრეზში“ გაატარა. კუპერსტაუნში, სადაც ბეისბოლის დიდების დარბაზია, ოზი, მეტსახელად „ჯადოქარი“, კულულა პარიკით გამოცხადდა. ასეთი თმა ჰქონია ახლა დროულ ამ კაცს მაშინ, როცა სან დიეგოში თამაშობდა. ეს კი ოცი წლის წინათ იყო.

# კამათლის გორება

ჰაიფას „მაკაბის“ ფეხბურთელებმა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩი ითამაშეს ბელარუსის ქალაქ ბობრუისკის „ბელშინასთან“. მაგრამ გასაგებ მიზეზთა გამო ისრაელში საფეხბურთო მატჩის ჩატარება არ ხერხდება და ამიტომ ჰაიფელები კვიპროსში მასპინძლობდნენ მეტოქეს. ნიქოზიის სასტუმროში თავმოყრილი მაკაბელები ნარდის თამაშით იქცევდნენ თავს.



REUTERS ნიქოზიიდან



REUTERS ლიონიდან

# შეკითხვები

ედიტა რუმსასი ეს წუთია გამოვიდა ლიონის სასამართლო დარბაზიდან, სადაც ამ ლიტველ გოგონას ქმრის შესახებ დაუსვეს შეკითხვები.

საქმე ისაა, რომ ედიტას ქმარი, ლიტველი ველოსიპედისტი რაიმონდას რუმსასი „ლამპრე დარკინის“ გუნდის წევრად იყო ტურ დე ფრანსზე. გუნდი იძულებული შეიქნა, ლიტველი გუნდიდან გაერიცხა, რახან მის კუთვნილ მანქანაში, რომელსაც ედიტა მართავდა, პოლიციამ დოპინგი აღმოაჩინა.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, ხვედა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ჯუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge